პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

№ 8 (5109) | ორშაბათი, 10 იანვარი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

ოცი წლის წინათ, 1918 წლის 7-10 იანვარს, ვ. ი. ლენინმა დასწერა შესანიშნავი სტატია—„როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება“

ეროვნული ბიბლიოთეკა



ლენინი და სტალინი სოცშეჯიბრების შესახებ

„სოციალიზმი არა თუ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას იგი ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივი ოდენობით, გამოყვანილ იქნას მშრომელთა ნამდვილად უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიათ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოიჩინონ ტალანტები, რომლებიც ხალხში ულეველია და რომელთაც კაპიტალიზმი თელავდა, სრესდა, ახრჩობდა ათასობით და მილიონობით“.

ლენინი

„ყველაზე უფრო ღირსშესანიშნავი შეჯიბრებაში არის ის, რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან ის შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, როგორადაც მას სთვლიდნენ წინათ, ხდის **ღირსების** საქმედ, **დიდების** საქმედ, **სიმამაცის** და **გმირობის** საქმედ“.

—:—

„განა ცხადი არ არის, რომ სტახანოველები ნოვატორები არიან ჩვენს მრეწველობაში; რომ სტახანოვური მოძრაობა წარმოადგენს ჩვენი ინდუსტრიის მომავალს; რომ იგი შეიცავს მუშათა კლასის მომავალი კულტურულ-ტექნიკური ამაღლების თესლს, რომ იგი გვიხსნის იმ გზას, რომელიც ერთადერთია შრომის ნაყოფიერების იმ უმაღლესი მაჩვენებლების მისაღწევად, რომლებიც საჭიროა სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასასვლელად და გონებრივი შრომისა და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსასპობად“.

—:—

„რაში მდგომარეობს სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობა?

უწინარეს ყოვლისა, იმაში, რომ იგი გამოხატავს სოციალისტური შეჯიბრების ახალ აღმავლობას, სოციალისტური შეჯიბრების ახალ, უმაღლეს ეტაპს. რატომ ახალს, რატომ უმაღლესს? იმიტომ, რომ იგი, სტახანოვური მოძრაობა, ხელსაყრელად განსხვავდება როგორც სოციალისტური შეჯიბრების გამოხატულება სოციალისტური შეჯიბრების ძველი ეტაპისაგან. წარსულში, სამიოდე წლის წინათ, სოციალისტური შეჯიბრების პირველი ეტაპის პერიოდში, სოციალისტური შეჯიბრება აუცილებლად როდი იყო დაკავშირებული ახალ ტექნიკასთან. მაშინ ჩვენ, კაცმა რომ თქვას, თითქმის არც კი გვქონია ახალი ტექნიკა. სოციალისტური შეჯიბრების ახალი ეტაპი კი — სტახანოვური მოძრაობა, პირიქით, — აუცილებლად დაკავშირებულია ახალ ტექნიკასთან. სტახანოვური მოძრაობა წარმოუდგენელი იქნებოდა ახალი, უმაღლესი ტექნიკის უქონლად. თქვენ წინაშე დგანან ამხ. ამხ. სტახანოვის, ბუსიგინის, სმეტანინის, კრივონოსის, პრონინის, ვინოგრადოვებისა და სხვათა მრავალთა მსგავსი ადამიანები. ახალი ადამიანები, მუშები და მუშა-ქალები, რომლებიც სავსებით დაუფლებიან თავიანთი საქმის ტექნიკას და რომლებმაც მთლიანად დაიმორჩილეს იგი და წინ წასწიეს. ასეთი ადამიანები ჩვენ არ გვყოლია ან თითქმის არ გვყოლია სამიოდე წლის წინათ. ესენი არიან ახალი, განსაკუთრებული ადამიანები“.

სტალინი



სოციალიზმის მშენებლობის კომუნისტური მეთოდი

ოცი წლის წინათ, იმ დღეებში, როდესაც ჯერ კიდევ არ მიყუჩებულიყო ოქტომბრის დიდი იერიშის ქუხილი, ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა დასწერა ცნობილი სტატია „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“.

ლენინი სწერდა ხალხის ბედნიერ, სასიხარულო შემოქმედებითს შრომაზე, ხალხის, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში სხვებისათვის შრომის შემდეგ, ექსპლოატატორებისათვის იძულებითი მუშაობის შემდეგ, პირველად მიიღო შესაძლებლობა იმუშაოს თავისთვის. ლენინის ამ სტატიის სიტყვები გაისმის როგორც სიმღერა განთავისუფლებული შრომის შესახებ. „სოციალიზმი არა თუ აქრობს შეჯიბრებას, არამედ, პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას იგი ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად **მასობრივი ოდენობით**..“

რაც უფრო მეტად გვაშორებს დრო იმ დღეებს, როდესაც ვლადიმერ ილიას-ძე ამ სტრიქონებს სწერდა, მით უფრო ღრმად ვსწვდებით სიდიადეს და ძალას მისი წინასწარმეტყველური სიტყვებისას, რომლებმაც სრული განხორციელება ჰპოვეს ჩვენს გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყანაში.

„ჩვენი ამოცანა ახლა, როდესაც სოციალისტური მთავრობა ხელისუფლების სათავეშია,—ეს არის შეჯიბრების მოწყობა“. ლენინ-სტალინის პარტიამ დაანთო მილიონთა სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ცეცხლი. რევოლუციის მატიანემ ჩაწერა გმირული საქმეები ქალაქისა და სოფლის ჩვენი დამკვრელებისა და დამკვრელი ბრიგადებისა, რომლებმაც სამუდამოდ გაითქვეს სახელი მრეწველობის რეკონსტრუქციისა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

როდესაც 1929 წელს ვლადიმერ ილიას-ძის სტატია პირველად გამოქვეყნდა და ამის შემდეგ სოციალისტურმა შეჯიბრებამ გრანდიოზული გაქანება მიიღო, ზოგიერთი ფიქრობდა, რომ ეს იყო ბოლშევიკების მხოლოდ „მორიგი მოდა“, დროებითი, წარმავალი კამპანია. ამხანაგმა სტალინმა გამოამჟღავნა სოციალისტური შეჯიბრების როლის დამცირების ეს ცდები. ის სწერდა: „ნამდვილად შეჯიბრება **არის კომუნისტური მეთოდი სოციალიზმის მშენებლობისა** მშრომელთა მილიონიანი მასების მაქსიმალური **აქტივობის საფუძველზე**“. კომუნისტური მეთოდით სოციალიზმი სსრ კავშირში აშენებულია!

სოციალისტური შეჯიბრება ჩვენს ქვეყანაში კადრების აღზრდის უდიდეს სკოლად გადაიქცა. ჩვენი სამშობლოს ყოველი კუთხე, ყოველი ქალაქი და სოფელი, ყოველი ქარხანა და კოლმეურნეობა გადაიქცა საუკეთესო სარბიელად, რომელზედაც ნაყოფიერად და სიხარულით იჩენენ თავიანთ შემოქმედებითს უნარს შრომის ადამიანები. შეჯიბრებაში გაიღვიძეს საბჭოთა ადამიანების მრავალფეროვანმა ტალანტებმა, მან წარმოშვა დამკვრელები, წარმოშვა წარჩინებულნი, მანვე წარმოშვა სტახანოველები, ვინაიდან სტახანოვური მოძრაობა სოციალისტური შეჯიბრების უმაღლეს ეტაპს წარმოადგენს.

ბურჟუები, მათი მესუფრიები და კუდები თავს ინუგეშებდნენ იმით, რომ მუშები და გლეხები, რომლებმაც ესოდენი წარმატებით დაანგრიეს ექსპლოატატორული წყობილების საყრდენები, ვერ გაართმევენ თავს ახალი სახელმწიფოს ახალი საზოგადოების აშენების გიგანტურ, ჭეშმარიტად მსოფლიო - ისტორიულ ამოცანას. „მათი თავხედური ვარაუდი არ გამართლდება“, — დარწმუნებულად სწერდა ლენინი. რევოლუციის პირველსავე კვირეებში იგი ითვალისწინებდა გიგანტურ ზრდას ტალანტებისას, რომლებიც ხალხში ულეველია და რომლებსაც კაპიტალიზმი თელავდა, სრესდა, ახრჩობდა.

„ორგანიზატორული მუშაობა ძალუძს რიგით მუშასაც და გლეხსაც, რომელმაც იცის წერა-კითხვა, რომელიც იცნობს ადამიანებს, რომელსაც აქვს პრაქტიკული გამოცდილება“. ლენინმა იცოდა და თავისი გენიის მთელი ძლიერებით ასწავლიდა ხალხს ჰქონოდა იმის რწმენა, რომ მუშათა კლასში და გლეხობაში ტალანტების უმდიდრესი წყაროა. განსაკუთრებული ძალით მოისმის ხალხის მძლავრი ძალებისადმი ეს ლენინური რწმენა ამხანაგი სტალინის სიტყვებში, რომლებიც მან წარმოსთქვა საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის თებერვალ-მარტის პლენუმზე: „უნარიანი ადამიანები, ნიჭიერი ადამიანები ჩვენ ათეული ათასობით გვყავანან. ოღონდ საჭიროა ვიცნობდე მათ და დროულად აწინაურებდე....“

ჩვენს ქვეყანაში სწარმოებს ხელმძღვანელ პოსტებზე პარტიული და უპარტიო აქტივისტების დაწინაურების განუწყვეტელი პროცესი. გუშინდელი რიგითი მუშები და გლეხები დღეს ხდებიან მეთაურები მრეწველობაში, საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელები. ყოველდღე ათეულობით ვხედავთ ასეთ მაგალითებს. გუშინდელი ტაშკენტელი მემანქანე ემცოვი დანიშნულია უზბეკთა სსრ ცაკის თავმჯდომარის მოადგილედ. გუშინდელი მეგრეველი იზოტოვი, ხელმძღვანელობს დონეცის ბასეინის ქვანახშირის უდიდეს ტრესტს. ხე-ტყის სახერხი ქარხნის გუშინდელი სტახანოველი მუსინსკი დღეს არხანგელსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილეა. ათობით მოწინავე მუშები და გლეხები გახდნენ დიდი სახელმწიფო მოღვაწეები, ისინი სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები არიან.

მასების სოციალისტური შეჯიბრება ის ძალაა, რომელმაც უზრუნველჰყო ჩვენი ქვეყნის უმაგალითო გამარჯვებანი და რომელიც მომავალშიც უზრუნველჰყოფს მრავალ გამარჯვებას. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ მთელი რიგი უდიდესი ამოცანები. 1938 წელი უნდა იყოს წელიწადი მუშაობის მაღალი ხარისხისა სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, წელიწადი უმაგალითო ტექნიკური პროგრესისა მრეწველობაში, წელიწადი მაღალი მოსავლიანობისა სოფლის მეურნეობაში. თვითეული სამრეწველო საწარმოს ამოცანაა — ასრულებდეს გეგმას წლის დასაწყისიდანვე. თვითეული კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის პირველი რიგის ამოცანაა—ბოლშევიკურად მოემზადოს საგაზაფხულო თესვისათვის. სამწუხაროდ, ბევრ ადგილას ჯერ კიდევ სათანადოდ არ აფასებენ შეჯიბრების მნიშვნელობას თესვისათვის მზადებაში. ასე, მაგალითად, სარატოვში პარტიის რაიკომების მდივნების, საბჭოთა მეურნეობების პოლიტგანყოფილებათა უფროსებისა და მტს-ების დირექტორების მოადგილეების (პოლიტნაწილში) საოლქო თათბირზე ლაპარაკი იყო ყველაფერზე, გარდა... სოციალისტური შეჯიბრებისა. დროა შევიგნოთ, რომ სწორედ სოციალისტური შეჯიბრება უზრუნველჰყოფს სოფლად თესვის, ისევე როგორც ყველა სხვა სახის სამეურნეო სამუშაოთა თავის დროზე ჩატარებას.

მასობრივობა, უაღრესად ფართო მასების მოცვა — აი რა არის მთავარი სოციალისტურ შეჯიბრებაში და მის უმაღლეს ფორმაში — სტახანოვურ მოძრაობაში. ეს კვლავ ხაზგასმით აღნიშნა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა თავის დადგენილებაში „მოსკოვისა და მოსკოვის ოლქის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველთა შემართვის“ გამო. ზოგიერთ საწარმოში ჯერ კიდევ გატაცებული არიან ცალკეული რეკორდების ორგანიზაციით მთელი ბრიგადების, ცვლების, საამქროების სტახანოვური მუშაობის ორგანიზაციის საზიანოდ. ზოგიერთი სამეურნეო მუშაკები, ინჟინრები და ტექნიკოსები ივიწყებენ იმას, რომ მათი უპირველესი ამოცანაა თვითეული სტახანოველისა და დამკვრელისათვის, თვითეული მუშისათვის უზრუნველჰყონ ნორმის გადაჭარბებით შესრულების შესაძლებლობა. ზოგი სამეურნეო ხელმძღვანელი უშვებს სპორტსმენულ გატაცებას ცალკეული მაღალი რეკორდებით და, როგორც ამას დონბასში ჰქონდა ადგილი, ამასთან ფალსიფიკაციასაც კი უშვებს, მიაწერს რა მუშათა ჯგუფის მიერ შრომის განაწილების საფუძველზე მიღწეულ შედეგებს მხოლოდ ერთ მათგანს. რაც უფრო მალე მოვუღებთ ბოლოს ამგვარ დამახინჯებებს სტახანოვურ მოძრაობაში, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს იგი ჩვენს ქვეყანას.

სტახანოვური მოძრაობის სწორი ხელმძღვანელობა, ბრძოლა მისი მასობრივობისათვის იწვევს არა მარტო ერთეულ-რეკორდსმენების, არამედ მუშათა მთელი ჯგუფებისა და მთელი საამქროების შრომის ნაყოფიერების ზრდას. დღეს ჩვენ ვბეჭდავთ სტატიას № 34 ქარხნის სტახანოვური საამქროს შესახებ, საამქროს, სადაც თითქმის ყველა მუშა სტახანოველია. სტახანოვური მოძრაობის წარმოშობიდან განვლილი დროის მანძილზე ამ საამქროს მუშებმა ერთი-ორად და კიდევ მეტად გაზარდეს თავისი შრომის ნაყოფიერება. წინანდელი მოწყობილობით საამქრომ ერთი-ორად და კიდევ მეტად გაადიდა პროდუქციის გამოშვება. სტახანოვური მოძრაობის სწორედ მასობრივობაშია ჩამარხული შრომის ნაყოფიერების შემდგომი სწრაფი ზრდისა და, მაშასადამე, ჩვენი ქვეყნის სიმდიდრის ზრდის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის შემდგომი ზრდის ბრწყინვალე პერსპექტივები.

სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება?“ ლენინმა წინასწარ განსჭვრიტა უსასტიკესი ბრძოლა—სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლა — სოციალიზმის მტრებთან, ექსპლოატატორებთან, მუქთახორებთან და მათ კუდებთან. „არავითარი დანდობა ხალხის ამ მტრებისადმი, სოციალიზმის ამ მტრებისადმი, მშრომელთა მტრებისადმი“, — მოგვიწოდებდა ვლადიმერ ილიჩი. ჩვენი ხალხი შეუბრალებლად იცავს ლენინის ამ მცნებას! ჩვენი ხალხი, რომელსაც ლენინ-სტალინის პარტია მიუძღვის, ულმობელია თავისი მტრებისადმი. სტალინური ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით იგი წარმატებით აღწევს ლენინის მიერ დასახულ მიზანს — „რუსეთის მიწა-წყლის **გაწმენდას** ყოველგვარი მავნე მწერებისაგან...“ ჩვენ ვწმენდთ საბჭოთა მიწა-წყალს ხალხის უბოროტესი მტრებისაგან — ტროცკისტ-ბუხარინელი ფაშისტი ჯაშუშების, დივერსანტებისა და მავნებლებისაგან.

სოციალისტურ შეჯიბრებაში იჭედებოდა პირველი ორი სტალინური ხუთწლედის გამარჯვებანი. სოციალისტური შეჯიბრება შეიცავს ძალებს ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის სრული გამარჯვებისათვის.

„პრავდის“ მოწინავე, 9/I

დაიწყო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია

მოსკოვი, 8 იანვარი (საკდესი). დღეს დილით სსრ კავშირის ცაკის შენობაში დაიწყო სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა რეგისტრაცია, რომლებიც ჩამოვიდნენ მოსკოვში უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე.

მთელი დღის განმავლობაში დარეგისტრირებული არიან კავშირის საბჭოს დეპუტატები, რომლებიც ჩამოვიდნენ ალტაის მხარიდან, ვორონეჟის, ირკუტსკის, კიროვის, კურსკის, ომსკის, ორლოვის, სტალინგრადისა და ჩელიაბინსკის ოლქებიდან, საქართველოს, უზბეკეთის, ტაჯიკეთის, ყაზახეთისა და ყირგიზეთის სს რესპუბლიკებიდან, ყალმუხეთის, თათართა და ჩუვაშთა ასს რესპუბლიკებიდან, აგრეთვე მთელი რიგი დეპუტატები მოსკოვიდან.

ეროვნებათა საბჭოს დეპუტატები დარეგისტრირებული არიან რუსეთის სფს რესპუბლიკიდან, სომხეთის, ყაზახეთის, ტაჯიკეთისა და თურქმენეთის სსრ რესპუბლიკებიდან, მთიან-ბადახშანის ავტონომიური ოლქიდან, ბაშკირეთის, დაღისტნის, ყალმუხეთის, კარელიის, ყირიმის, მორდვის, ჩრდილო-ოსეთისა და თათართა ასს რესპუბლიკებიდან.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატები ჩადიან მოსკოვს

მოსკოვი, 7 იანვარი (საკდესი). მოსკოვს სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე თანდათან ჩამოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან უზენაესი საბჭოს დეპუტატები. მოსკოვის ვაგზლები სადღესასწაულოდ არის მორთული. ვაგზლებზე დეპუტატების მისაღებად გახსნილია ჩინებულად მოწყობილი ოთახები. ვაგზლებიდან უზენაესი საბჭოს დეპუტატები ავტომობილებით მიდიან ქალაქის საუკეთესო სასტუმროებში.

სულ მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს 48 დეპუტატი.

8 იანვარს მოსკოვში მოელიან სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატების ჩამოსვლას თურქმენეთის სს რესპუბლიკიდან, თათართა და უდმურტთა ასს რესპუბლიკიდან.

2—3—2 ორთქმავლის სასინჯი გარბენა

კოლომნა, 9 იანვარი (საკდესი). პირველი საცდელი ჩქარი სამგზავრო ორთქმავალი 2—3—2, აგებული კოლომნის კუიბიშევის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მიერ, დაბრუნდა სასინჯი გარბენიდან. მან გაიარა 7 ათასი კილომეტრი. ორთქმავლის მემანქანემ ორდენოსანმა ამხ. აზატცმა საკდესის კორესპონდენტს აცნობა:

— ახალმა ორთქმავალმა მშვენივრად ჩაიარა გამოცდა. მან დაჰყავდა ექსპრესები „კრასნაია სტრელა“ 689 ტონა წონისა ოქტომბრის რკინიგზის — ბოლოგოე—მოსკოვის მარშრუტით და გზაში 40 — 55 და უფრო მეტი წუთით ადრე მიდიოდა დანიშნულების ადგილზე.

1937 წლის 26 დეკემბერს ორთქმავალმა 2—3—2 „კრასნაია სტრელა“ მოსკოვიდან ლენინგრადამდე წაიყვანა გზაში სათბობის მოულოდნელად, რაც არცერთს სამგზავრო ორთქმავალზე არ ყოფილა მიღწეული.

საბჭოთა კავშირის გმირის ვ. ს. მოლოკოვის ექსპედიციის მომზადება

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველომ გადაწყვიტა გაგზავნოს თებერვლის დამლევს ყინულმჭრელების „სადკოს“, „სედოვის“ და „მალიგინის“ დრეიფის რაიონში სპეციალური საჰაერო ექსპედიცია საბჭოთა კავშირის გმირის ამხ. ვ. ს. მოლოკოვის ხელმძღვანელობით. მას ევალება მოხსნას მოდრეიფე გემებიდან იქ მყოფ ადამიანთა მეტი ნაწილი და მიაწოდოს ამ გემებს სხვადასხვა საჭურველი, რადიომოწყობილობა, ფოსტა, გაზეთები და პროდუქტები, მათ რიცხვში ახალი ხორცი, ხილი, ბოსტნეული, აგრეთვე მრავალი ვიტამინიანი საკვები კონცენტრატი.

ექსპედიციისათვის გამოყოფილია სამი ოთხმოტორიანი საჰაერო ხომალდი და ერთი მსუბუქი თვითმფრინავი „პ-6“.

8 იანვარს მძიმე ხომალდები „სსსრ ნ—170“, „სსსრ ნ—171“ და „სსსრ ნ—172“ ფრუნზეს სახელობის ცენტრალური აეროდრომიდან გადატანილ იქნა ერთერთ საავიაციო ქარხანაში, სადაც მათ გულმოდგინეთ მოამზადებენ პასუხსაგები რეისისათვის.

საფლაგმანო ხომალდს წაიყვანს ექსპედიციის უფროსი, საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ვ. ს. მოლოკოვი. ამ თვითმფრინავზე მეორე პილოტად იქნება ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მონაწილე ამხ. გ. კ. ორლოვი. მეორე ხომალდს გაუძღვება საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. ა. დ. ალექსეევი. მესამე თვითმფრინავზე მეთაურად იქნება საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. პ. გ. გოლოვინი. მსუბუქ თვითმფრინავ „პ-6“-ს, რომელიც ამ პასუხსაგები საჰაერო ექსპედიციის მზვერავი იქნება, წაიყვანს ამხ. სიროკვაში. იგი უკანასკნელ დრომდე მუშაობდა სახაზო მფრინავად ობისა და ენისეის ავიახაზებზე.

ყველა ხომალდის ეკიპაჟების დაკომპლექტება ხდება ძირითადად ჩრდილოეთის პოლუსის ექსპედიციის მონაწილეებისაგან, მათ რიცხვში იქნებიან ამხ. ფრუტეცკი, ვაისბერგი, ჟუკოვი, სუგრობოვი, ჩეჩინი, მოროზოვი და სხვ. ექსპედიციის ფლაგშტურმანად დანიშნულია ამხ. ბრიტსლანდი.

ჩრდილოეთის საზღვაო გზის მთავარსამმართველოს პოლარული ავიაციის სამმართველო ამჟამად ამუშავებს ვ. ს. მოლოკოვის ექსპედიციის გადაფრენის გეგმას.

1937 წლის არახელსაყრელმა ყინულოვანმა პირობებმა არქტიკაში შეაჩერეს მთელი რიგი გემები, მათ რიცხვში „სადკო“, „სედოვი“ და „მალიგინი“. „სადკოზე“, როგორც ვიცით, იმყოფებოდა მაღალგანედის ექსპედიცია პროფ. სამოილოვიჩის მეთაურობით.

ამ ყინულმჭრელებზე მყოფი მეცნიერი მუშაკები დიდ მეცნიერულ მუშაობას განაგრძობენ. კერძოდ, ისინი სწავლობენ გემების დრეიფს, რომელიც ემთხვევა „ფრამის“ მარშრუტს და ამიტომ მეტად დიდ ინტერესს წარმოადგენს.

სამივე ყინულმჭრელზე 216 კაცი იმყოფება. მაგრამ სამეცნიერო სამუშაოების ჩატარებისა და გემების მართვისათვის ამდენი ხალხი არ არის საჭირო. ამისათვის საკმარისი იქნება 60-70 კაცი. დანარჩენებს გემებიდან მოხსნის ვ. ს. მოლოკოვის საჰაერო ექსპედიცია.

(საკდესი).

სამრეწველო საწარმოებში საამორტიზაციო ანარიცხთა გამოყენებისა და რემონტის გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავს, რომ საამორტიზაციო ანარიცხთა გამოყენების არსებული არასწორი წესი, რომლის დროსაც ამ ანარიცხებიდან არ გამოჰყოფენ სპეციალურ თანხებს რემონტისათვის, ასუსტებს სამეურნეო ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას რემონტის საქმისათვის სამრეწველო საწარმოებში. ამავე დროს სამრეწველო მოწყობილობისა და შენობათა ახლანდელი მოუვლელობა დიდ ზიანს აყენებს სახელმწიფოს და არ შეიძლება მოთმენილ იქნას.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო საწარმოთა ყველა ხელმძღვანელს და უშუალოდ დირექტორებს მიუთითებს, რომ მათ აწევთ სრული პასუხისმგებლობა ყველა მანქანის, მოწყობილობის, შენობის და ნაგებობის სწორი შენახვისათვის და ვალდებული არიან უზრუნველჰყონ ჯეროვანი მოვლა-პატრონობით და დროიანი რემონტით მათთვის დაქვემდებარებულ სამრეწველო საწარმოებში.

მრეწველობაში რემონტის დაყენების გაუმჯობესების და ამ საქმის მტკიცე მატერიალურ - ფინანსიური უზრუნველყოფის დაწესების მიზნით, სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1) დაწესდეს სამრეწველო სახალხო კომისარიატებისათვის ყოველწლიური საამორტიზაციო ანარიცხთა შემდეგი საშუალო ნორმები, პროცენტებში მოქმედი მანქანების, მოწყობილობის, შენობების და ნაგებობების პირვანდელი ღირებულების მიმართ:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 5,6 პროც.
მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ხაზით 5,5 პროც.
თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 5,5 პროც.
სატყეო მრეწველობის ხაზით 6,0 პროც.
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 5,5 პროც.
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 6,0 პროც.

2) დაწესდეს სამრეწველო სახალხო კომისარიატებისათვის საამორტიზაციო ანარიცხთა ხარჯზე შემდეგი საშუალო ნორმები ყოველწლიური ასიგნობებისა კაპიტალური რემონტის მოსახდენად, პროცენტებში მანქანების, მოწყობილობის, შენობების და ნაგებობათა პირვანდელი ღირებულების მიმართ:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 2,4 პროც.
მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის ხაზით 2,2 პროც.
თავდაცვითი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 2,5 პროც.
სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 3,0 პროც.
მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 3,6 პროც.
კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით 2,8 პროც.

3) მე-2 პუნქტის თანახმად კაპიტალური რემონტისათვის დანიშნული ასიგნობანი გამოიყოს საწარმოებისათვის, დაწყებული 1938 წლით, იმ კრედიტების გარდა, რაც მათთვის წესდება კაპიტალდაბანდებათა ხაზით.

4) იმის გამო, რომ სამრეწველო მოწყობილობისა და ნაგებობათა ტიპები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, აგრეთვე იმის გამო, რომ მრეწველობის ცალკეულ დარგთა მუშაობის ინტენსიურობის ხარისხი თანაბარი არ არის და ამასთან დაკავშირებით მოწყობილობისა და ნაგებობათა გაცვეთის ვადები სხვადასხვაა — დაწესდეს საამორტიზაციო ანარიცხთა დიფერენცირებული ოდენობა და კაპიტალური რემონტისათვის ასიგნობათა დიფერენცირებული ოდენობა მრეწველობის ცალკეული დარგებისა და ცალკეული საწარმოების მიხედვით.

ამის შესაბამისად, როგორც საამორტიზაციო ანარიცხთა ოდენობა, ისე კაპიტალური რემონტისათვის დანიშნულ ასიგნობათა ოდენობა, დააწესონ:

ა) ცალკეული მთავარი სამმართველოებისათვის — სახალხო კომისრებმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დამტკიცებით;

ბ) ცალკეული საწარმოებისათვის — სახალხო კომისრებმა უშუალოდ, მოცემული დარგისათვის დაწესებულ ანარიცხთა და ასიგნობათა ფარგლებში.

5) საწარმოს საამორტიზაციო ანარიცხთა ნაწილი, დანიშნული კაპიტალური რემონტისათვის, დატოვებულ იქნას სამიზნო ფონდად საწარმოს დირექტორის განკარგულებაში.

საამორტიზაციო ანარიცხთა დანარჩენი ნაწილი შეტანილ იქნას სამრეწველო ბანკში სათანადო სახალხო კომისარიატის კაპიტალური მშენებლობის დასაფინანსებლად დამტკიცებული სახელმწიფო გეგმის მიხედვით.

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე — **ვ. მოლოტოვი**

სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი — **ნ. პეტრუნიჩევი**

მოსკოვი, კრემლი.
1938 წლის 8 იანვარი

უკანასკნელი ცნობები

რესპუბლიკელთა ახალი წარმატებანი ტერუელის სექტორში

(საკდესის მიერ პარიზიდან და ბარსელონიდან მიღებული ცნობებით)

აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

8 იანვარს დაძაბულობა აღმოსავლეთის ფრონტის ტერუელის უბანზე ცოტათი შენელდა, მაგრამ მეამბოხეები ჯერ მაინც ცდილობენ იერიში მიიტანონ რესპუბლიკელთა ჯარებზე ამ უბნის სამხრეთ-დასავლეთ სექტორში. მოახდინეს რა დემონსტრაცია სელადასის რაიონში (ტერუელის ჩრდილოეთით), რაც რესპუბლიკელებმა ადვილად მოიგერიეს, მეამბოხეებმა იმავდროულად მნიშვნელოვანი ძალებით შეუტიეს რესპუბლიკელთა პოზიციებს მუელა დე ტერუელის და 1076 და 1062 სიმაღლეების რაიონში. მაგრამ რესპუბლიკელთა ჯარებმა ამ უბანზეც მოიგერიეს მეამბოხეები, რომლებიც იძულებულნი გახდნენ უკან დაეხიათ მნიშვნელოვანი ზარალით.

ზარალი, რომელიც მეამბოხეებმა 23 დღის განმავლობაში ნახეს ტერუელთან, ფრიად დიდია.

7 იანვარს სალამოს მეამბოხეები რიცხვით 1500 კაცი, პოდპოლკოვნიკ რეი დ'არკურის მეთაურობით დანებდნენ. დარჩა მხოლოდ სანტა კლარას მონასტერში ჩასაფრებული ერთი ჯგუფი, რომელიც წინააღმდეგობას უწევდა. მაგრამ ღამით ეს ჯგუფიც დანებდა რესპუბლიკელთა ჯარებს და ამრიგად ტერუელში ლიკვიდირებულია მეამბოხეთა წინააღმდეგობის უკანასკნელი კერები. სანტა კლარას მონასტერში მყოფ მეამბოხეებს შორის, რომლებიც რესპუბლიკელებს დანებდნენ, არის ტერუელის ეპისკოპოსი.

რესპუბლიკელთა სარდლობამ მიიღო ზომები ტყვეთა და დაჭრილ მეამბოხეთა საევაკუაციოდ ვალენსიის სპეციალურ სადგომებსა და ჰოსპიტლებში.

რესპუბლიკელთა მხარეზე გადმოსული პირები ამბობენ, რომ 25 დეკემბერს ქალაქ კასერესში (ესტრემადურის პროვინციაში) იფეთქა აჯანყებამ, რომელიც მეამბოხეებმა სამი დღის შემდეგ ჩააქრეს. მეამბოხეებმა დახვრიტეს აჯანყების მონაწილე 150-ზე მეტი ჯარისკაცი და გლეხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოცი წელი ლენინის სტატიისა „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება"

სტახანოვური მოძრაობის ძალა მის მასობრივობაში

ისტორიული მნიშვნელობის თარიღი

1918 წლის 7-10 იანვარს კაცობრიობის გენიოსმა და მუშათა კლასის დიდმა ბელადმა—ლენინმა, სოციალიზმის ახალგაზრდა ქვეყნის ზრდის სიძნელეთა გათვალისწინებით და რევოლუციის მტრებზე საბოლოო გამარჯვების ინტერესთა კარნახით დასწერა სტატია, რომელმაც სოციალიზმის წარმატებითს მშენებლობაში უდიდესი ხელმძღვანელი როლი შეასრულა.

ლენინმა თავის სტატიაში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება", დასახა ძირითადი სამეურნეო პოლიტიკური ამოცანები, რომელთა წარმატებით გადაჭრაც სოციალიზმის ახალგაზრდა ქვეყანას შინაურ და გარეშე კონტრრევოლუციასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში აუცილებლად გამარჯვებულს გამოიყვანდა და ქვეყნის შიგნით სოციალიზმის აშენების ძირითად პირობებს შექმნიდა.

ნორჩი სოციალისტური რესპუბლიკა, რომელსაც სახელმწიფო მმართველობის სულ ორი თვის გამოცდილება ჰქონდა, უდიდეს სიძნელეთა წინაშე იდგა. ოქტომბრის რევოლუციამ დაამსხვრია მემამულეთა და კაპიტალისტთა სახელმწიფოებრივი აპარატი; ჩამოართვა კაპიტალისტებსა და მემამულეებს და სოციალისტური სახელმწიფოს საკუთრებად გამოაცხადა ფაბრიკები, ქარხნები, რკინიგზები, ბანკები, მიწა.

საბჭოთა ქვეყნის ზრდისა და შემდგომი განმტკიცებისათვის კაპიტალისტებისა და მემამულეების სამხედრო მეთოდებით დათრგუნვასთან ერთად საჭირო იყო აგრეთვე, რათა ბოლშევიკების პარტიის ხელმძღვანელობით, მუშათა კლასსა და მშრომელ გლეხობას გაეტარებინათ უდიდესი ორგანიზაციულ - სამეურნეო ღონისძიებანი.

ბურჟუაზიული ინტელიგენტები და მწერლები, რომელნიც მთელ თავის ცოდნასა და ენერგიას ერთ მუჭა ექსპლოატატორთა გამდიდრებას ანდომებდნენ, აწყობდნენ საბოტაჟს, არ ემორჩილებოდნენ სოციალისტური სახელმწიფოს განკარგულებებს და ფიქრობდნენ, რომ „უბრალო" მუშები და ღარიბი გლეხები ვერ გაატარებდნენ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ორგანიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც მათ ისტორიამ დააკისრა.

სასიკვდილოდ განწირული ექსპლოატატორები და მათი ლაქიები—ბურჟუაზიული ინტელიგენტები სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. ორგანიზაციული მუშაობა, საბჭოთა ხელისუფლებისადმი ყველა მტრულად განწყობილი ძალების წინააღმდეგ სამხედრო მეთოდებით ბრძოლასთან ერთად, საერთო პროლეტარული საქმის განუყოფელ ნაწილად იქცა.

ლენინის მიერ დასმული მთავარი სამეურნეო - ორგანიზაციული ამოცანა—სახელმწიფოებრივი მასშტაბით შრომისა და მოხმარების ზომის აღრიცხვა და მასზე კონტროლის დაწესება, რაც სოციალიზმის დედაარსია, მუშათა კლასმა ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით ბრწყინვალედ განახორციელა და ამით დაამტკიცა, რომ მას შეუძლია არა მარტო კაპიტალიზმის დანგრევა, არამედ უდიდესი შემოქმედებითი ინიციატივის გამოჩენა და სოციალისტური საზოგადოების აშენება.

საბჭოთა წყობილების პირობებში მძლედ აზვირთდა სოციალისტური შეჯიბრების ტალღა, გაიშალა მასების ინიციატივა, ხალხის ქვედა ფენებიდან ათიათასობით და მილიონობით გამოვიდნენ და აღიზარდნენ ნიჭიერი ორგანიზატორები.

ჩვენი ქვეყნის მოწინავე ადამიანები — სტახანოველები, რომელნიც შრომის ნაყოფიერების განსაცვიფრებელ ნიმუშებს იძლევიან, წითელარმიელები და სახელოვანი შინსახკომელები, რომელნიც ფხიზლად იცავენ ჩვენს ქვეყანას შინაური და გარეშე მტრებისაგან—პირსისხლიანი ფაშიზმისა და მისი ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტებისაგან, საბჭოთა ინჟინრები, რომელნიც უდიდეს სამრეწველო გიგანტებს აშენებენ, საბჭოთა კავშირის გმირი მფრინავები, რომელთაც ჩრდილოეთის ყინულოვანი პოლუსი დაიპყრეს და მთელი მსოფლიო განცვიფრებაში მოიყვანეს,—სწორედ ის ადამიანები არიან, რომელთა ასეთი შეუდარებელი ზრდა და ცხოვრებაში დაწინაურება გენიალურად იწინასწარმეტყველა ლენინმა და რომელნიც ბოლშევიკების პარტიამ და მისმა დიდმა ბელადმა—ამხანაგმა სტალინმა აღზარდეს.

ორდენოსან საქართველოშიაც ათასობითა და ათიათასობით აღიზარდნენ და დაწინაურდნენ მშრომელი ხალხის სასახელო შვილები. ყოფილი რიგითი მუშები—დ. ჰიჭინაძე, ვ. სამხარაძე, ვ. სალაძე, ახლა საქვეყნოდ ცნობილი არიან. 12 იანვარს ისინი საბჭოთა კავშირის რჩეულ ადამიანებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის მუშაობაში.

კომუნისტური პარტიისა და ქართველი ხალხის სასახელო წინამძღოლის—ამხანაგ ლ. ბერიას ხელმძღვანელობით აყვავდა და გაიფურჩქნა საქართველოს მეურნეობისა და კულტურის ყველა დარგში. საქართველომ საბჭოთა კავშირის სხვა მოძმე რესპუბლიკებთან ერთად წარმატებით დაამთავრა მეორე ხუთწლედი და ახალი ენერგიით განაგრძობს ბრძოლას შემდგომი სამეურნეო და კულტურული აღმავლობისათვის.

1938 წელი არის სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის უფრო მეტი აყვავებისა და გაფურჩქვნის წელი. უნდა გაღრმავდეს და გაფართოვდეს სოცშეჯიბრების უმაღლესი ფორმა—სტახანოვური მოძრაობა, რათა მივაღწიოთ კიდევ უკეთეს რაოდენობრივისა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს შრომის ნაყოფიერების ზრდასა და თვითღირებულების შემცირებაში.

მასების ნდობითა და მხარდაჭერით ლენინ-სტალინის გმირული პარტიის საქმისათვის თავდადებულმა მებრძოლებმა სოციალიზმის ქვეყანა აქციეს მტრებისათვის მიუვალ ციხესიმაგრედ, რომელიც, როგორც კაშკაშა ვარსკვლავი, გზას უნათებს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასსა და დაჩაგრულ ხალხებს.

დიდი საბჭოთა კავშირის ხალხი, კომუნისტური პარტიისა და მშრომელთა დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო სწრაფი და მტკიცე ნაბიჯით გასწევს წინ—კაცობრიობის ნათელი და მზიანი კომუნისტური მომავლისაკენ.

ერთი ქარხნის კოლექტივი

სოციალისტური შეჯიბრების გამოყენების პირველ ნიშნებს თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის ისტორიაში ჩვენ 1930 წელს ვხვდებით. მაშინ, დასვენების დღეებში, საწარმოო ენტუზიაზმით ანთებული მუშები აწყობდნენ შაბათობას. შემდეგ ეს მოძრაობა დამკვრელობაში, იზოტოველობაში, სტახანოვურ მოძრაობაში გადადის. ყველა ამ მოძრაობის წამომწყები მაშინ ქარხნის მჭედელი-ბრიგადირი, ახლა ცნობილი სტახანოველი-ორდენოსანი, ქარხნის უფროსი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს წევრი ამხ. **დავით ჰიჭინაძე** იყო.

ხალხის მტრები ტროცკისტ-ბუხარინელი ჯაშუშები, რომლებიც დიდხანს იყვნენ მოკალათებულნი ქარხანაში, მთელი თავისი არსებით ეწინააღმდეგებოდნენ მასების ფართო ინიციატივას, მაგრამ მუშებმა გასტეხეს მავნებელთა წინააღმდეგობა და სტახანოვურმა მოძრაობამ ქარხანაში ფართო ხასიათი მიიღო.

რაღა დარჩენოდათ მავნებლებს? ერთადერთი გზა — ევნოთ ამ მოძრაობისათვის, სახელი გაეტეხათ მისთვის. და აი კიდეც, სამჭედლო საამქროს ყოფილი ინჟინერი, ხალხის გარეწარ მტერთა ნაბოლარა, სტახანოველთა მიერ პირველი რეკორდის დამყარებისთანავე ახდენს ნორმების „გადასინჯვას" და მეორე დღესვე „ახალ ნორმებს" აწესებს. ეს მავნებლური ფანდიც ამ გადის, პარტორგანიზაცია დროულად ამჟღავნებს მას. ამასთან მავნებლები სტახანოველის იარლიკს აკრებენ ყველას, თვით ისეთებსაც, რომლებიც გეგმებს 80-90 პროცენტითაც ვერ ასრულებენ. ასეთ „სტახანოველთა" რიცხვი 1935 წლის ბოლოს 1200-მდე ადის.

მავნებლები გამომჟღავნებულ და განდევნილ იქნენ ქარხნიდან. მოხდა სტახანოველთა შემადგენლობის გადასინჯვა. ვინ არ იყვნენ იქ: ბუხჰალტრები, მეტაბელეები, მოანგარიშეები და ისეთი მუშებიც კი, რომლებიც ტექნიკურ ნორმებსაც ვერ ასრულებდნენ. გაცხრილვის შედეგად სტახანოველთა რიცხვი 1200-დან 150-მდე მცირდება.

შემდეგ იწყება სტახანოველთა რიგების ნამდვილი ზრდა და სტახანოველთა რიცხვი 1936 წელს 1000-ს უდრის, ხოლო 1937 წელს კი 1970-მდე ადის.

გაიზარდნენ მთელი რიგი ახალი სტახანოველები, რომლებიც საწარმოო დავალებების შესრულებაში 1000 პროცენტს აჭარბებენ და შრომის გასაოცარ ნაყოფიერებას იძლევიან.

სატვირთო ვაგონების საამქროს ზეინკალთა ბრიგადამ ამხ. **დათუაშვილის** მეთაურობით დავალება 1214 პროცენტით შეასრულა; ელექტროშემდუღებელმა ამხ. **ნადირაძემ** გეგმის 1297 პროცენტით შესრულებას მიაღწია. ამწყობი საამქროს ზეინკალმა ამხ. **გუკოვსკიმ** 7 საათში შეაკეთა და ააწყო 5 ინჟექტორი; ამწყობი საამქროს ზეინკალმა ამხ. **დევსურაშვილმა** 50 საათის საქმე 2 საათში გააკეთა (2.500 პროც.); სატვირთო ვაგონების საამქროს ზეინკალი ამხ. **ქაფიანიძე** ნორმებს 1166 პროცენტით ასრულებდა. ამწყობი საამქროს ზეინკალმა ამხ. **დანოვსკიმ** 67 საათ-ნახევრის სამუშაო 6-ნახევარ საათში გააკეთა და დავალება 1039 პროცენტით შეასრულა; მჭედელ ამხ. **გუგულაშვილის** ბრიგადამ გეგმა 1500 პროცენტით შეასრულა;

ქარხანაში თვითეული მუშა ცდილობს გახდეს დამკვრელი, ხოლო ყოველი დამკვრელი ცდილობს გახდეს სტახანოველი, რადგან მათ შეგნებული აქვთ, რომ ამით აძლიერებენ თავის სახელმწიფოს და ამასთან თავის პირად კეთილდღეობას.

მაგრამ მუშათა ეს ბოლშევიკური საწარმოო ენტუზიაზმი ჯეროვნად არ არის გამოყენებული. ამით უნდა აიხსნას, რომ ქარხანა ჩამორჩება გეგმის შესრულებაში. აქ დამნაშავეა ქარხნის ხელმძღვანელობა, რომელიც სათავეში ვერ ჩაუდგა მასების საწარმოო ენტუზიაზმს. ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები ჯერ მხოლოდ ერთეულებს უქმნიან პირობებს სტახანოვური წარმატებების მისაღწევად, ხოლო ვერ უსწავლიათ ასევე მოემსახურონ მთელ საამქროს, რათა იგი მთლიანად სტახანოვური გახადონ.

ახლა გადაუდებელი ამოცანა ისაა, რომ თავი დააღწიონ ამ ნაკლს და შექმნან პირობები საამქროებისა და მთელი ქარხნის სტახანოვურ საწარმოდ გადასაქცევად.

ამის ყველა პირობა არსებობს, ამის საწინდარია ის უდიდესი საწარმოო ინიციატივა, რომელსაც იჩენს ქარხნის სახელოვანი კოლექტივი, ამის საწინდარია ის უდიდესი ყოველდღიური დახმარება, რომელსაც ქარხანას უწევს საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი და პირადად ამხანაგი ლ. ბერია.

ან. კილენჯერიძე

ამხ. ვ. სამხარაძე
ორდენოსანი სტახანოველი, სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს დეპუტატი

ჩემი სიტყვა და საქმე

მამა რომ გარდამეცვალა, 17 წლისა ვიყავი. ცხოვრებაში ჯერ კიდევ გამოუცდელს ოჯახის რჩენის მთელი სიმძიმე დამაწვა. 1928 წლამდე ჩემ სამშობლო სოფელ წითელქალაქში ვმუშაობდი. 1928 წელს კი თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - შემკეთებელი ქარხნის სამჭედლო საამქროში დავიწყე მუშაობა. 1931 წლიდან მე და ორდენოსანი ამხ. დავით ჰიჭინაძე ერთად ვმუშაობდით. ჩვენამდე ამ საამქროში 7 კაცისაგან შემდგარი ბრიგადა დღეში ორთქლმავლის ერთ რვილს აკეთებდა, ჩვენი მისვლის შემდეგ კი ბრიგადამ სამი რვილი გააკეთა.

ჩვენი ბრიგადა სოცშეჯიბრებაში ჩაება. შეჯიბრების პირველ დღეს რვა რვილი გავაკეთეთ, ხოლო მეორე დღეს — 14 და გეგმა 1000 პროცენტით შევასრულეთ. ეს იყო პირველი რეკორდი, რომელსაც სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლითა და სტახანოველთა მდიდარი გამოცდილების გამოყენებით მივაღწიეთ.

ხუთი თვის წინათ ამხ. დ. ჰიჭინაძე ქარხნის დირექტორად გადაიყვანეს, მე კი სამჭედლო საამქროს ბრიგადირად დამაწინაურეს. მე დაუღალავად ვიბრძვი, რათა ჩვენი სახელოვანი ყოფილი ბრიგადირის სახელი არ შევარცხვინო და მისი მეთოდებით ბრიგადამ უფრო მეტი წარმატებები მოიპოვოს. ყოველდღიურად ვსწავლობ, რათა ჩემს ხელობას უფრო კარგად დავეუფლო და შრომის ნაყოფიერება კიდევ უფრო ავამაღლო.

ამ თვეში ყოველდღიურად დავამზადებ ვაგონის 120 თეფშს, ორთქლმავლის 50 თითს, 28 სუთს და ორთქლმავლის ბუქსის 100 ცალ სიმაგრეს.

თუ ქარხნის დირექცია დამეხმარება და მუშაობის ხელსაყრელ პირობებს შემიქმნის, სიტყვას საქმედ ვაქცევ და ამ დაპირებებს იანვრის ბოლომდე აუცილებლად გავანაღდებ.

მ. გუგულაშვილი.
თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ -ვაგონ-შემკეთებელი ქარხნის სამჭედლო საამქროს სტახანოველი—ბრიგადირი.

მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები, მოწინავე სტახანოველები: (მარცხნიდან მარჯვნივ) **ხუნტუა** (ტყიბულის მაღაროები) **ა. გურგენიძე** (აჭარა) და **უ. ახუბა** (აფხაზეთი).

სოცშეჯიბრებაში აღზრდილი

1925 წ. ივჟევანიდან (სომხეთი) თბილისს ჩამოვიდა 16—17 წლის ჭაბუკი ნერსეს მინასიანი. ჯერ კიდევ გამოუცდელმა და უსწავლელმა ახალგაზრდამ შეგირდად დაიწყო მუშაობა თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის ჩამომსხმელ საამქროში.

როდესაც საბჭოთა კავშირის ყველა ფაბრიკა-ქარხანას და მათ შორის თბილისის კალინინის სახელობის ქარხანასაც სოციალისტური შეჯიბრების მძლავრი ტალღა მოედო, ნერსესიც მუშებთან მეგობრულ შეჯიბრებაში ჩაება.

ამ საამქროში ნერსესი პირველი იყო, რომელმაც ენერგიული და თავდადებული შრომით მაღალი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მოპოვებით დამკვრელის საპატიო სახელწოდება მოიხვეჭა.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ გამოაღვიძა ნერსესის შემოქმედებითი შესაძლებლობანი, გამოუმუშავა შრომისა და ბრძოლის ბოლშევიკური უნარი.

სახარატო ხელობას დაუფლებული და დამკვრელის საპატიო სახელის მქონე ნერსესი 1932 წელს სამუშაოდ თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელ ქარხანაში გადავიდა.

— იზოტოველებმა შრომის სოციალისტური მეთოდებით შრომის ნაყოფიერების უჩვეულო ზრდას მიაღწიეს, — სწერდნენ გაზეთები; მალე იზოტოვური მუშაობის მეთოდები ორჯონიკიძის ქარხანაშიაც დამკვიდრდა.

მინასიანმა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია სახარატო საამქროს მუშა იოსებ ფილიპოვი. ორი „მოწინააღმდეგე" ერთმანეთს შეება. ამ შეჯიბრებაში მინასიანმა სასიხარულო შედეგებს მიაღწია. თუ გეგმის 80—90 პროცენტით შესრულება მაშინ დიდ მიღწევად ითვლებოდა, მისთვის უკვე გეგმის 200 პროცენტით შესრულება ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა.

როცა ალექსი სტახანოვმა ძველი ტექნიკური ნორმები დაამსხვრია და შრომის ნაყოფიერების არაჩვეულებრივი გაზრდით მთელი მსოფლიო აალაპარაკა, ნერსესსა და ფილიპოვს შორის სოცშეჯიბრება ხელახლა გაჩაღდა, რის შედეგადაც მათ მართლა სტახანოვურ მაჩვენებლებს მიაღწიეს.

გასულ წელს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის ადმინისტრაციამ ნერსეს მინასიანი თავდადებული და სტახანოვური მუშაობისათვის ძვირფასი საჩუქრებით დააჯილდოვა. ამჟამადაც ამხ. მინასიანი გეგმებს 300—350 პროცენტით ასრულებს და თვიურად 1200 მანეთს იღებს.

მინასიანის ცხოვრება იმისი მაგალითია, თუ სოციალისტური შეჯიბრებისა და დამკვრელობის ცეცხლში როგორ აღიზარდნენ ჩვენი ქვეყნის არა ერთი და ორი სასახელო ადამიანები, — სოციალისტური შრომის გმირები—სტახანოველები.

ელ. უბილავა

დ. როდონაია, თ. კუნჭულია

სოცშეჯიბრების უმაღლესი ფორმა

„შრომის ნაყოფიერება, უკანასკნელ ანგარიშში, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მთავარია ახალი საზოგადოებრივი წყობილების გამარჯვებისათვის". დიდი ლენინის ეს დებულება, სოციალიზმის გრანდიოზული მშენებლობის სინამდვილეში თავის ურყევ დასაბუთებას პოულობს.

ოცი წელზე მეტია, რაც კაპიტალიზმის ქვეყნებში შრომის ნაყოფიერება არათუ არ დიდდება, არამედ ეცემა. თვით ა. შ. შტატებში, კაპიტალიზმის ამ მოწინავეთა შორის მოწინავე ქვეყანაშიც კი, 1936 წელს გამომუშავება ერთ მუშაზე შეადგენდა 1929 წელს მიღწეული დონის 82 პროცენტს.

სხვანაირად არის საქმე საბჭოთა კავშირში, იმ ქვეყანაში, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, სადაც „ადამიანები მუშაობენ არა ექსპლოატატორებისათვის, არა მუქთახორების გასამდიდრებლად, არამედ თავისათვის, თავისი საბჭოთა საზოგადოებისათვის". (სტალინი).

საბჭოთა კავშირში, უკანასკნელი ორი ხუთწლედის მანძილზე, მუშის გამომუშავება თითქმის 2,5-ჯერ გადიდდა. მარტო 1936 წელს მსხვილ სოციალისტურ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 21 პროცენტით გაიზარდა.

მსხვილი სოციალისტური მრეწველობისა და მიწათმოქმედების ქვეყანაში—საბჭოთა კავშირში, გაქრა სოფლის სიღატაკე, მტკიცედ დამკვიდრდა შეძლებული და საამური ცხოვრება. საკოლმეურნეო სოფლის შეიარაღებამ უახლესი მანქანა-იარაღებით არაჩვეულებრივად გაზარდა მოსავლიანობა. ეს განსაკუთრებით ჩანს გასული წლის მაგალითზე. შარშან საბჭოთა კავშირში პურეულის მოსავალმა 6.8 მილიარდ ფუთს მიაღწია. ა. შ. შტატებს კი ოცი წელი დასჭირდათ იმისათვის, რომ მარცვლეულის მოსავალი 2 მილიარდი ფუთით გაედიდებინათ. ჩვენი სოციალისტური მიწათმოქმედება ასეთ ამოცანას სამ-ოთხ წელში სწყვეტს.

საბჭოთა ქვეყნის მშრომელებმა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე დაიწყეს. თავის ისტორიულ წერილში „როგორ მოვაწყოთ შეჯიბრება" ლენინი გენიალური შორსმჭვრეტელობით ხაზს უსვამდა შეჯიბრების უდიდეს მნიშვნელობას სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. ლენინი აღნიშნავდა: „სოციალიზმი არათუ აქრობს შეჯიბრებას, არამედ პირიქით, პირველად ჰქმნის შესაძლებლობას გამოყენებულ იქნას იგი ნამდვილად ფართოდ, ნამდვილად მასობრივი ოდენობით, გამოყვანილ იქნას მშრომელთა ნამდვილად უმრავლესობა ისეთი მუშაობის ასპარეზზე, სადაც მათ შეუძლიანთ გამოიჩინონ თავი, გაშალონ თავიანთი უნარი, გამოიჩინონ ტალანტები, რომელნიც ხალხში ულეველია და რომელთაც კაპიტალიზმი თელავდა, სრესდა, ახრჩობდა ათასობით და მილიონობით".

ლენინის გენიალურმა დებულებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა პირველ კომუნისტურ შაბათობებში, რომლებიც წარმოადგენდნენ „საზოგადოებრივი სარგებლიანობისათვის ცალკე პირთა უფასო შრომას, რომელიც არავითარი ხელისუფლების მიერ არ არის ნორმირებული". (ლენინი).

ისტორიაში მტკიცედ აღბეჭდილია 1919 წელს ფართოდ გაშლილი კომუნისტური შაბათობები, როდესაც წითელი დედაქალაქის მუშები, ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დაუღალავი ენერგიით შეუდგნენ სამოქალაქო ომით დანგრეული ფაბრიკა-ქარხნების, გაჩანაგებული სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის აღდგენას.

კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობდა 1929 წელს, პირველი სტალინური ხუთწლედის პირველ წელს, გაღრმავებული სოცშეჯიბრების უფრო მაღალ ფორმას, დამკვრელთა ბრიგადების ბრძოლას, მიმართულს სოციალისტური შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და ამით პირველი ხუთწლედის დიადი გეგმით დასახული სამეურნეო ამოცანების ბრწყინვალედ გადაწყვეტისაკენ.

იმ შესანიშნავ წლებში სოციალისტური შეჯიბრება და დამკვრელობა ჩვენი სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენისა და მისი შემდგომი აღმავლობის მძლავრ ფაქტორად მოგვევლინენ.

შრომის ნაყოფიერების ახალი, უფრო მაღალი დონის მიღწევის შესაძლებლობა მოცემული იყო თვით საბჭოთა წყობილებაში, რომელმაც შექმნა წარმოებისა და შრომის ახალი სოციალისტური ორგანიზაცია.

საჭირო იყო მხოლოდ ჩვენი მეურნეობის ტექნიკური ბაზის გაბედული რეკონსტრუქცია, პირველხარისხოვანი ტექნიკის, პირველხარისხოვანი ფაბრიკებისა და ქარხნების შექმნა, საჭირო იყო „გაძვალტყავებული გლეხური ცხენიდან მსხვილი სამანქანო ინდუსტრიის ცხენზე გადაჯდომა" (სტალინი).

დიდი ლენინი ჯერ კიდევ 1918 წელს მოითხოვდა მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლების — სათბობისა და რკინის წარმოების, მანქანათმშენებლობისა და ქიმიური მრეწველობის — განვითარებას, მშრომელთა შორის დისციპლინის განმტკიცებას, მუშაობაში სიზალისეს, შრომის ინტენსივობას, მის უკეთ ორგანიზაციას.

მას შემდეგ 20 წელმა განვლო. ამ ხნის განმავლობაში სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგმა, ლენინ-სტალინის გმირული პარტიის ხელმძღვანელობით, ბრწყინვალე შედეგებს მიაღწია. აღორძინდნენ სამრეწველო წარმოების სრულიად ახალი დარგები, გაფართოვდნენ ძველი საწარმოო ერთეულები, გაჩნდნენ სრულიად ახალი სამრეწველო ცენტრები. მძლავრი საბჭოთა მეურნეობებით, კოლმეურნეობებითა და მტს-ებით დაფარულია ჩვენი ქვეყანა. 1936 წლის დამლევისათვის სოციალისტური სოფლის მინდვრებზე მუშაობდა 400 ათასზე მეტი ტრაქტორი, 7,85 მილიონი ცხენისძალის სიმძლავრისა, ხოლო გასული წლის პირველი აგვისტოსათვის—450 ათასი ტრაქტორი — 8,3 მილიონზე მეტი ცხენისძალის სიმძლავრისა.

თუ 1928 წელს საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების ღირებულება 29 მილიარდ მანეთს არ აღემატებოდა, 1937 წელს, წინასწარი გაანგარიშებით, მან 141 მილიარდ მანეთს მიაღწია, ე. ი. 10 წლის მანძილზე სოციალისტური მეურნეობის ტექნიკური შეიარაღება თითქმის 5-ჯერ გაიზარდა. ჩვენი სოციალისტური მეურნეობა აღიჭურვა პირველხარისხოვანი ტექნიკით.

ახალმა სოციალისტურმა ტექნიკამ და ამ ტექნიკას დაუფლებულმა მოწინავე ადამიანებმა ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანეს სოცშეჯიბრება და დამკვრელობა. ფართოდ გაიშალა ჩვენი ეპოქის უშესანიშნავესი მოვლენა — სტახანოვური მოძრაობა, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური შეჯიბრების უმაღლეს ფორმას, „წარმოადგენს შრომის იმ მაღალი ნაყოფიერების ნიმუშს, რის მოცემაც შეუძლიან სოციალიზმს და რის მოცემაც არ შეუძლიან კაპიტალიზმს". (სტალინი).

მეორე სტალინური ხუთწლედის განვლილი ორი წელი სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლის წლები იყო.

ჩვენი მძლავრი მრეწველობის, ტრანსპორტისა და მსხვილი სოციალისტური მიწათმოქმედების საუკეთესო ადამიანები, სოციალისტური შრომის ენტუზიასტები დაუშრეტელი ენერგიით იბრძვიან შრომის ნაყოფიერების სტახანოვური მაჩვენებლებისათვის.

უაღრესად დიდია სტახანოვური მოძრაობის მიღწევები ორდენოსან საქართველოშიაც. სტახანოვური მოძრაობის პიონერები საქართველოში — დ. ჰიჭინაძე, ვ. სამხარაძე, არონ კიტია და სხვები, გაჰყვნენ ალექსი სტახანოვის, ა. ბუსიგინის, ი. გუდოვის და სხვათა მაგალითს.

სოციალისტური შეჯიბრების ცეცხლში გამოიჭედნენ საქართველოს აყვავებული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის წარჩინებული ადამიანები, სოციალისტური შრომის სამაყო ოსტატები, რომლებიც, დაეუფლნენ რა თავიანთი საქმის ტექნიკას, შრომის ნაყოფიერების უმაგალითოდ მაღალ ნიმუშებს იძლევიან. ესენი არიან სახელმოხვეჭილი შ. გუგულაშვილი, ი. დევსურაშვილი, უშა ახუბა, აიშე გურგენიძე, ნადია კოჩიევა, ნატალია სადაგაშვილი, ცაცა ქარდავა, რომლებმაც სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს არჩევნების დაუვიწყარ დღეებში შრომის ნაყოფიერება 500, 600 და ზოგჯერ 1500 პროცენტითაც კი გაადიდეს.

მაგრამ აშკარად უნდა ითქვას, რომ ზოგი ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების (სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ - შემკეთებელი ქარხნის, ტყიბულისა და ტყვარჩელის ქვანახშირის მაღაროების, თბილისის აგურკრამიტის ქარხნების და სხვ.) მეთაურებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა და სოფლის ხელმძღვანელმა მუშაკებმა დაივიწყეს მთავარი, დაივიწყეს ის, რომ სტახანოვური მოძრაობის ძალა მის მასობრივობაში მდგომარეობს.

ხალხთა დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა I საკავშირო თათბირზე ამბობდა: „ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავეხმაროთ სტახანოველებს კიდევ უფრო გაშალონ სტახანოვური მოძრაობა და გაავრცელონ იგი მთელი სიღრმე-სიგანით სსრ კავშირის ყველა ოლქსა და რაიონში".

სამრეწველო წამოწყებათა მეთაურებმა, ცალკეულ სტახანოველთა რეკორდებით გატაცებულებმა, დაივიწყეს ბელადის ეს მითითება, მათ მხედველობიდან გამორჩათ ორგანიზაციული ხასიათის ის დიდი სამუშაო, რომლის ჩატარებით შესაძლებელია სოციალისტური შეჯიბრების გაშლა-გაღრმავება, სტახანოველთა რიგების გაფართოვება ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მრავალათასიან დამკვრელთა ხარჯზე.

პარტიამ და მთავრობამ გასული წლის დეკემბრის ცნობილ დადგენილებაში „მოსკოვის და მოსკოვის ოლქის ფაბრიკებისა და ქარხნების სტახანოველთა მიმართვის" შესახებ ერთხელ კიდევ ხაზი გაუსვეს, რომ ახლა მთავარია ცალკეულ სტახანოველთა გამოცდილების მშრომელთა ფართო მასაში გადატანა, სტახანოველთა რიგების გაფართოვება.

ეს კი სავსებით განსახორციელებელი ამოცანაა, ვინაიდან საქართველოს მრეწველობაში, ტრანსპორტზე და სოფლის მეურნეობაში ათასობით და ათიათასობით არიან ისეთი დამკვრელები, რომლებიც იჩენენ დიდ შემოქმედებითს უნარს, იძლევიან ახალ წინადადებებს, ჩინებულად აწყობენ თავიანთ სამუშაო ადგილებს, ყოველდღიურად ასრულებენ ორს და ზოგჯერ სამ ნორმას.

საჭიროა მხოლოდ მუშებისა და კოლმეურნე გლეხების ასეთ ძვირფას ინიციატივას გაეწიოს ხელმძღვანელობა და მეთაურობა. ეს კი ჩვენი მრეწველობის ინჟინერ-ტექნიკოსების, აგრონომების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უშუალო მოვალეობაა.

დიდი და პასუხსაგები ამოცანები წინაშე დგას საქართველოს მრეწველობა 1938 წელს. გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა, საგრძნობლად უნდა შემცირდეს მისი თვითღირებულება, კიდევ უფრო უნდა გაიზარდოს შრომის ნაყოფიერება.

ამ ამოცანების ბრწყინვალედ გადაჭრისათვის სსრ კავშირის მძიმე მრეწველობის სტალინელმა სახკომმა ამხანაგმა ლ. კაგანოვიჩმა დასახა მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები, რომელთა შორის სტახანოვური მოძრაობის მასობრივ მოძრაობად გადაქცევას, წარმოებაში მტკიცე გრაფიკის შთანერგვას, ფაბრიკა-ქარხნებში ბოლშევიკური დისციპლინის განმტკიცებას, დადგენილი ტექნოლოგიური რეჟიმისა და ექსპლოატაციის ტექნიკური ინსტრუქციების ზუსტად შესრულებას და საზიზღარი მავნებლობის შედეგების დაუყოვნებლივ აღმოფხვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

უდიდესი ამოცანები დგას აგრეთვე საქართველოს სოფლის მეურნეობის წინაშე. წელს მარცვლეულის, ძვირფასი ტექნიკური და სუბტროპიკული კულტურების ისეთი მოსავალი უნდა მივიღოთ, როგორიც არ ახსოვს ჩვენს ქვეყანას. დადგა მომენტი, როდესაც მტკიცე საძირკველი უნდა ჩავუყაროთ უხვი და მყარი მოსავლის მიღებას.

საგაზაფხულო თესვისათვის სანიმუშოდ მომზადება სწყვეტს ამ ამოცანის ბრწყინვალედ შესრულებას. ამჟამად სოფლად არ არსებობს იმაზე უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღება თესვის წინასამუშაოების დროულად და მაღალხარისხოვნად ჩატარებისათვის.

ჩვენი სამრეწველო წარმოების მეთაურებმა, ინჟინერ-ტექნიკოსებმა, სოციალისტური სოფლის ორგანიზატორებმა, პარტიულმა და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უნდა შესძლონ სტახანოვური მოძრაობის მთელი სიგრძე-სიგანით გაშლა, სტახანოველთა რიგების გაფართოვება, სტახანოველთათვის ყოველდღიური დახმარებისა და ხელმძღვანელობის გაწევა. მხოლოდ ასეთ პირობებში გახდება შესაძლებელი მესამე სტალინური ხუთწლედის პირველი წლის საწარმოო დავალებების ბრწყინვალედ და ღირსეულად შესრულება.

პირსისხლიანი ფაშიზმის მოსყიდული ტროცკისტ-ბუხარინელი აგენტები, მავნებელ-ჯაშუშები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ სტახანოვური მოძრაობისათვისაც. ეს გარემოება გვიკარნახებს გავაათკეცოთ რევოლუციური სიფხიზლე, კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის გარშემო, ხალხთა საყვარელი ბელადის დიდი სტალინის გარშემო და დაუზოგავად გავანადგუროთ ხალხის მტერთა ნაშიერები.

ორდენოსანი საქართველოს პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხანაგ ლავრენტი ბერიას ხელმძღვანელობით, შეუდრკად გასწევენ წინ და მრეწველობისა და სოფლის მეურნეობაში სტახანოვური მოძრაობის ფართოდ გაშლით მოიპოვებენ ახალ და ახალ სასახელო გამარჯვებებს.

გავშალოთ სოციალისტური შეჯიბრება თესვის საუკეთესოდ მომზადებისათვის

იქ, სადაც არ ფიქრობენ სოცშეჯიბრებაზე

(ყვარელი, „კომუნისტის" სპეციალური ბრიგადისაგან)

რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს საკმაო დრო და შესაძლებლობა ჰქონდათ სანიმუშოდ გაეჩაღებინათ თესვისათვის მზადება, მაგრამ ამას ვერ ვხედავთ. ამ მხრივ რაიონში დიდი ჩამორჩენაა. უპირველეს ყოვლისა ეს ითქმის ტრაქტორებისა და მისაბმელი იარაღ-მანქანების შეკეთებაზე.

ყვარლის მტს-ში (დირექტორი ამხ. ი. ჭაია) ტრაქტორების რემონტის მეოთხე კვარტალის გეგმა ჩაიშალა. 1 იანვრისათვის 18 ტრაქტორი უნდა შეეკეთებინათ, მაგრამ 4 იანვრისათვისაც არ ჰქონდათ შეკეთებული არც ერთი ტრაქტორი. ამჟამადაც არა აქვთ აღებული დამკვრელური ტემპები მეოთხე კვარტალის დავალიანების დასაფარავად.

მტს-ის უფროსი მექანიკოსი ამხ. ხლ. გოგოძე აცხადებს: ვგრძნობდი ტრაქტორების რემონტს მეოთხე კვარტალში ჩაშლა მოელოდა, ამიტომ მივმართე დირექტორს ამხ. ჭაიას, რომ შირაქის ლიკვიდირებული საბჭოთა მეურნეობიდან მტს-ისათვის საჭირო სპეციალისტები წამოგვეყვანა, მაგრამ მან ასე მიპასუხა: ტრანსპორტი არ გვყავს, რით წავიდე სოფელში, ან რათ გვინდა სპეციალისტები, როდესაც რემონტისათვის საჭირო მასალები არ მოგვეპოვება. ახლა, მეოთხე კვარტალის დავალიანება რომ აანაზღაურონ და ახალი სამუშაოებიც შეასრულონ, გეგმით 9 ბრიგადა უნდა მუშაობდეს, ფაქტიურად კი 7 მუშაობს.

მტს-ის დირექციამ თავის დროზე არ მიიღო ზომები სათადარიგო ნაწილების შესაძენად. ავტო-სატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს საქართველოს განყოფილებაში მან ერთი თვის დაგვიანებით მიავლინა საწყობის გამგე, რომელიც იქიდან თითქმის ხელცარიელი დაბრუნდა.

მტს-ის პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა მრავალი კრებები და თათბირები ჩაატარეს და მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებიც დასახეს, რომ ტრაქტორისტებისათვის შეექმნათ მუშაობის ნორმალური პირობები, მოეგვარებინათ შრომის აღრიცხვა სარემონტო სახელოსნოებში, გაეშალათ სოციალისტური შეჯიბრება და დაენერგათ სტახანოვური მუშაობის მეთოდები, მაგრამ დადგენილებები და მიღებული ღონისძიებები მხოლოდ ქაღალდზე დარჩა, სინამდვილეში არაფერი გაკეთებულა.

მტს-ის პარტორგანიზაციამ (პარტკომის მდივანი—ამხ. დ. ტყეშელაშვილი) და პროფორგანიზაციამ (ამხ. ივ. ფირანაშვილი) არ იციან, ვინ არის აქ დამკვრელი ან სტახანოველი.—ვიცით მხოლოდ, რომ ზოგიერთი ძალიან კარგად მუშაობს, მაგრამ გეგმას რამდენი პროცენტით ასრულებს, ვერ გეტყვით, რადგან სარემონტო სახელოსნოში აღრიცხვა მოგვარებული არ არისო,—აცხადებენ აქ.

შემოწმებამ დაადასტურა, რომ მტს-ის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია არ ზრუნავენ სტახანოველთა რიგების გამრავლებაზე. იმ მუშებს, რომლებიც ნორმებს გადაჭარბებით ასრულებენ, არ უქმნიან პირობებს უფრო უკეთესი მუშაობისათვის, არ ამარაგებენ სათანადო იარაღებით, ტრაქტორისტებს არ აძლევენ გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილ თანხას. შრომის აღრიცხვა ქაოტიურ მდგომარეობაშია. ზოგ ტრაქტორისტს ნამუშევარს არ უწერენ.

ტრაქტორის მისაბმელ იარაღ-მანქანებზე მომუშავე ბრიგადებსაც არა აქვთ შექმნილი მუშაობის სათანადო პირობები. სამონტაჟო საამქროში წყალი ჩამოდის და იქ ცეცხლიც არ ანთია. სამჭედლო საამქროში დირექციის გადაწყვეტილებით 4 ქურა უნდა მოწყობილიყო ორის ნაცვლად, მაგრამ ეს დადგენილება დღემდე ქაღალდზე რჩება.

ყვარლის მტს-ი იმ შემთხვევაში დააღწევს თავს გარღვევას, თუ ხელმძღვანელი მისი მუშაკები ბოლოს მოუღებენ წუწუნს „ობიექტურ" მიზეზებზე და ნამდვილად ბოლშევიკურად მოჰკიდებენ ხელს ნაკლოვანებათა დაჩქარებით გამოსწორებას.

მ. საკარული.
მ. სირაძე.

გარდატეხა არ მომხდარა

(დუშეთი, „კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტისაგან)

საქ. კ. პ. (ბ) დუშეთის რაიკომი და რაიაღმასკომი მართავენ თათბირებს საკოლმეურნეო აქტივთან სასოფლო საბჭოების მიხედვით. თათბირებზე იხილავენ საგაზაფხულო თესვისათვის საუკეთესოდ მოსამზადებლად სოციალისტური შეჯიბრების გაშლის საკითხს. სოცშეჯიბრებაში ფართოდ ებმებიან კოლმეურნეობები, საკოლმეურნეო ბრიგადები და კოლმეურნეთა მასები.

ჩამორჩენა კი ჯერჯერობით დიდია. მტს-ის ხელმძღვანელთა მოუქნელმა მუშაობამ და მიწსახკომის სუსტმა დახმარებამ გამოიწვია ის, რომ მტს-ი მოუმზადებელი შეხვდა ტრაქტორების რემონტს.

გეგმით გათვალისწინებული 10 ნოემბრის ნაცვლად, ტრაქტორების რემონტი 17 ნოემბერს დაიწყო. მეოთხე კვარტალის გეგმა მხოლოდ სანახევროდ შესრულდა.

რემონტის მხრივ მდგომარეობა ამჟამადაც ცუდია. გეგმით უნდა შეკეთდეს 25 ტრაქტორი. აქედან საშუალო რემონტი სჭირდება 8 ტრაქტორს, ხოლო 17-ს მიმდინარე რემონტი. 8 იანვრისათვის შეკეთებული იყო მხოლოდ 7 ტრაქტორი — გეგმის 28 პროცენტი.

რამ გამოიწვია ასეთი სამარცხვინო ჩამორჩენა? ის, რომ მტს-ის შემკეთებელ სახელოსნოს არა აქვს მთელი რიგი იარაღები, აკლია მომუშავეები. სუსტია რემონტის ხარისხის კონტროლი, სათანადო დახმარება არ ეწევათ სახელოსნოში მომუშავე ტრაქტორისტებს.

მტს-ს არ მოეპოვება სათადარიგო ნაწილები: ტრაქტორების კბილანები, სიჩქარის კოლოფები და მილსაყები.

მოუწესრიგებელია რემონტზე მომუშავეთა და ტრაქტორისტთა საყოფაცხოვრებო პირობებიც. ბევრ ტრაქტორისტს დღემდე არ მიუღია სპეცტანსაცმელი.

იარაღ-მანქანები ცისქვეშ ჰყრია და ჟანგდება, მტს-ს არა აქვს ფარდული. სახელოსნოს მუშაკებს შორის სუსტია კულტმასობრივი მუშაობა.

არც საწვავი მასალის მომარაგებაა მოწესრიგებული. 23 ტონა კუთვნილი საწვავი მასალიდან მტს-ში ერთი ტონაც არ არის მიტანილი.

მტს-ი არც აგროპერსონალითაა უზრუნველყოფილი. 12 უბნის აგრონომის ნაცვლად აქ მხოლოდ სამია.

რაიონში საერთოდ სუსტი ტემპებით მიმდინარეობს თესლის გაწმენდა და ლაბორატორიულად შემოწმება. 110 კოლმეურნეობიდან ლაბორატორიაში 8 იანვრისათვის გასასინჯად თესლი მიტანილი ჰქონდა მხოლოდ 44 კოლმეურნეობას. აქედან დანაგვიანებული აღმოჩნდა 40 კოლმეურნეობის თესლი.

ახლო მომავალი დაგვანახვებს, რამდენად შესწევთ უნარი ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოებს გამოასწორონ ჩამორჩენა თესვისათვის მზადებაში.

ჩამორჩენა ისევ გრძელდება

(ტელეგრაფით „კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

სოხუმის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანიზაციები თესვისათვის სუსტად ემზადებიან. რაიონში შეუწყნარებლად ჭიანურდება ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების რემონტი. სოხუმის მტს-ის დირექცია უდარდელობას იჩენს. 25 ტრაქტორიდან გარემონტებულია მხოლოდ სამი. განსაკუთრებით ჩამორჩა „ჩტზ"-ის მარკის ტრაქტორების რემონტი.

მტს-ის ხელმძღვანელმა მუშაკებმა მხოლოდ 2 იანვარს გაიგეს, რომ მათ ტრაქტორების რემონტი ესაჭიროებოდათ. დღემდე არ მიუღიათ გადამჭრელი ზომები სათადარიგო ნაწილების მოსამარაგებლად. ავტოსატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს აფხაზეთის განყოფილებას არ გააჩნია სათადარიგო ნაწილები, რითაც ის სამუშაო ფერხდება.

მტს-ის სარემონტო სახელოსნო სრულიად მოუწყობელია. უყაირათობის შედეგია ის, რომ მტს-ის დირექციას სახელოსნოს გადახურვაც ვერ მოუგვარებია და შიგ წყალი ჩადის. სახელოსნოს არ გააჩნია სახარატო დაზგა და სხვა აუცილებელი ინვენტარი.

ტრაქტორების მთელ რიგ ნაწილებს კუსტარულად აკეთებენ ან უკვეთენ სუბტროპიკულ კულტურათა საკავშირო ინსტიტუტის სარემონტო სახელოსნოს, რომელიც ძალიან აჭიანურებს შეკვეთების შესრულებას.

მტს-ის სახელოსნოს არ აქვს რკინა. მოუგვარებელია მუშათა საყოფაცხოვრებო პირობები.

რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს აგრეთვე სიმინდის ჩვეულებრივი თესლის გადაცვლა ჯიშიანზე.

გ. მერკვილაძე.

რემონტი ჯერაც არ დაუწყიათ

(„კომუნისტის" საქ. კორესპონდენტისაგან)

ქუთაისის მტს-ში ვართ. დირექტორის მოადგილის კაბინეტში ამხ. მ. თურქაძესთან ტრაქტორისტები შეკრებილან და 1937 წელს გამომუშავებულ შრომადღეებზე კუთვნილ ფულს ითხოვენ. თურქაძე მათ დიდი დაპირებითა და ტკბილი სიტყვებით ისტუმრებს.

ჩვენს შეკითხვაზე ტრაქტორების რემონტის მიმდინარეობის შესახებ ამხ. მ. თურქაძემ ცოტა უხერხულობა იგრძნო, მაგრამ არ დაბნეულა, „ობიექტური" მიზეზები მოიმარჯვა და დაიწყო:

— რემონტი ჯერ არ დაგვიწყია, მაგრამ ამ სამუშაოს მოკლე ხანში შევუდგებით.

დირექტორის მოადგილესთან ერთად მტს-ის სარემონტო სახელოსნოსაკენ გავწიეთ. ჩვენმა მანქანამ ქალაქი სწრაფად გაირბინა და ტრიალ მინდორში ერთ შემოღობილ ფართო ეზოსთან გაჩერდა. ეზოს ერთი მხრიდან მხოლოდ ძველი თხრილი ჰქონდა შემოვლებული. ეზოში ბლომად იყვნენ ძროხები, ხარები, ღორები. ცის ქვეშ, მინდორზე ეყარა მანქანების დაჟანგული ნაწილები და ლაფში ამოსვრილი თხუთმეტიოდე ტრაქტორი. ეზოს შუაგულში ერთი ახალი ქვიტკირის შენობა და ცოტა მოშორებით ოთხი მსხვილი ბოძი იყო აღმართული, იქვე ახლოს კრამიტიც ეყარა.

— ესეც ჩვენი სახელოსნო, საცაა შენებლობა დამთავრდება და ჩავიბარებთ,—გვითხრა ამხ. თურქაძემ და ეზოშივე შეგვიყვანა. თურმე ამ სახელოსნოს რამდენიმე წელია აშენებდნენ მტს-ის ყოფილი ხელმძღვანელები, მაგრამ დღესაც ბევრი რამ აკლია მის დამთავრებას. გარდა ამისა, ტრაქტორების დასაყენებელი ფარდულის მშენებლობა მხოლოდ ახლა იწყება. ჯერჯერობით მარტო ბოძები აღუმართავთ. ჩვენი თანამგზავრი იტიბარს მაინც არ იტეხს და ჩვეულებრივი თვითკმაყოფილებით განაგრძობს:

— სახელოსნოს სამ-ოთხ დღეში ჩავიბარებთ და 10 იანვრისათვის უსათუოდ დაიწყება ტრაქტორების რემონტიო. ჩვენის აზრით, თურქაძის ეს განცხადება არც ისე ეჭვმიუტანელი სინამდვილეა. მაგრამ კიდეც რომ 10 იანვარს დაიწყონ რემონტი, დაგვიანება მაინც სამარცხვინო იქნება.

ქუთაისის მტს-ში ჯერ რემონტისათვის მზადებასაც არ შესდგომიან. ჯერ არ მოუხდენიათ ტრაქტორების დათვალიერება, არ შეუდგენიათ დეფექტების უწყისი, თუ რა ნაწილები და რა რაოდენობით დასჭირდებათ რემონტისათვის, და არ ღებულობენ გადამჭრელ ზომებს ამ ნაწილების მოსამარაგებლად.

ტრაქტორების რემონტი ჩაშლის საფრთხის წინაშეა, მაგრამ ამას არ ითვალისწინებენ მტს-ის ხელმძღვანელი მუშაკები და პირადად მისი დირექტორი ამხ. ერ. ლეფსვერიძე.

ეგ. გვასალია.

საგანგაშო ხმა წნორის მტს-იდან

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

შევდივართ წნორის (სიღნაღის რაიონი) მტს-ის ტერიტორიაზე. აქ განიერ შენობაში, მტს-ის კანტორაა. კანტორის აივანზე ხალხის ჩოჩქოლია. ეს ტრაქტორისტები არიან. მოსულან ისინი მინდვრებიდან, რომ გაიგონ — როდის მისცემენ მათ 1937 წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოებისათვის კუთვნილ ფულს. მტს-ის დირექტორი ამხ. ვ. ფეიქრიშვილი უხასიათოდაა, ადმინისტრატორის უძლურებას შეუპყრია იგი, არ იცის, როგორ მოიქცეს. კოლმეურნეობების უმრავლესობას, ვისგანაც მტს-ის დირექციას ფული ეკუთვნის, ანგარიში არ გაუსწორებია და მტს-ისთვის ფული არ გადაუხდია. გარდა ტრაქტორისტებისა, ფული ერგება მტს-ის სახელოსნოების მუშებსაც.

თბილისისკენ აქვს მიპყრობილი ფეიქრიშვილს გულისყური. თუ მიწსახკომი არ დაეხმარა... აბა, სად იშოვნოს ფული, როგორ გაისტუმროს სახელოსნოს მუშები და ტრაქტორისტები? ამხ. ფეიქრიშვილი განგაშს სტეხს, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივ დატრიალდეს და საშუალებები გამონახოს.

წნორის მტს-მა 10 თებერვლისთვის უნდა შეაკეთოს და მინდვრად გაუშვას 94 ტრაქტორი. როგორც იქნა, შესძლეს და ადგილობრივი რესურსებით შეაკეთეს 9 ტრაქტორი. დანარჩენი ტრაქტორები ცის ქვეშ დგანან რემონტის მოლოდინში. სახელოსნოში 12 სარემონტო ბრიგადა მუშაობს. ამ ბრიგადებს შეუძლიათ ყოველ ექვს დღეში 18 ტრაქტორი გამოუშვან, ასე რომ თუ მუშაობის ნორმალური პირობები ექნებათ, თებერვლის დამდეგისთვის ყველა ტრაქტორს შეაკეთებენ.

მტს-ის სარემონტო სახელოსნო უზრუნველყოფილია ხელსაწყოებითა და კვალიფიციური მუშებით, მაგრამ აკლია სათადარიგო ნაწილები. ამხ. ვ. ფეიქრიშვილი ამბობს: ჩემზე დამოკიდებული ყველა ღონისძიება მივიღე ამ დეტალების გამოსანახავად. მაგრამ ვერაფერს გავხდით. ავტოსატრაქტორო მრეწველობის მთავარ სამმართველოს („გუტაპის") საქართველოს განყოფილება დაპირების მეტს ჯერჯერობით არაფერს იძლევა. ამავე დროს, მდგომარეობა ისეთია, რომ თუ „გუტაპმა" ამ ნაწილების მოწოდება ვერ მოახერხა, ტრაქტორების მნიშვნელოვანი რაოდენობა მწყობრიდან იქნება გამოყვანილი და თესვა უთუოდ შეფერხდება.

წნორის მტს-ში შესაკეთებლად დაყენებულ ყველა ტრაქტორს ქარხნის დეტალები არ სჭირდება. ზოგიერთ ტრაქტორს აკლია ისეთი ნაწილები, რომლებსაც ადგილობრივ სახელოსნოში დაამზადებენ. ამისთვის კი საჭიროა რკინა. 3 ტონა რკინას მოელიან მტს-ში თბილისიდან, თვითონ კი არავითარ ზომებს არ იღებენ მის მისაღებად. ჩვენ გამოვიწერეთ და თუ დროულად არ მოგვაწვდიან, რა ჩვენი ბრალია. თავი რომ შეიწუხონ, თვითონ წავიდნენ ამ მასალის მოსატანად — ამაზე ჯერ არ უფიქრიათ.

აქვე უნდა აღინიშნოს „საქსოფლმომარაგების" უხეირო მუშაობა. „საქსოფლმომარაგებაში" მშვენივრად იციან, რომ წნორის მტს-ს სჭირდება რკინა, კალა, ბაბიტი და სხვა ისეთი მასალა, რომელსაც ისინი უნდა აწვდიდნენ მტს-ს, მაგრამ არ აწოდებენ. ეს გარემოება კი ტრაქტორების რემონტის ჩაშლის საფრთხეს ჰქმნის.

ამ დღეებში წნორის მტს-ს ესტუმრა საქ. მიწსახკომის მარცვლეულის სამმართველოს უფროსი ამხ. მირიანაშვილი. იგიც გაეცნო აქ შექმნილ მდგომარეობას და სათანადო დახმარებასაც დაჰპირდა მტს-ის დირექტორს. მაგრამ ჯერჯერობით დაპირება მხოლოდ დაპირებად რჩება.

წნორის მტს-ს იარაღ-მანქანების დიდი ნაწილი ღია ცის ქვეშ ჰყრია. საქ. მიწსახკომმა მას ფული არ გადაურიცხა, რომ იქ ფარდულები აეგო და მანქანები დახურულში შეენახა. ადგილობრივ რესურსების გამოძებნაზე კი არ ზრუნიათ, და დღეს მტს-ის მუშაკები გულგრილად შესცქერიან, თუ როგორ ფუჭდება ეს სახალხო დოვლათი. ეს ყოვლად შეუწყნარებელია.

ჩამოთვლილი ფაქტები მოწმობენ, რომ წნორის მტს-ში ტრაქტორების რემონტი აშკარად ჩაშლის საფრთხეშია. საჭიროა სასწრაფო დახმარება როგორც „გუტაპის", ისე საქ. სოფლმომარაგების და მიწსახკომის მხრით.

მაგრამ მარტო ამ დახმარების ლოდინი მტს-ის დირექციის მხრით ახლა დანაშაული იქნებოდა. ბევრი რამის გაკეთება, მას დაუხმარებლადაც შეუძლია, ბევრ რამეში რაიონული პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები დაეხმარება და, ამრიგად, თუ მონდომება იქნება, საქმის გამოსწორება შესაძლებელია.

დ. ლომთაძე.

დამთავრდა პიანისტთა სრულიად-საკავშირო კონკურსი

მოსკოვი, 8 იანვარი (საკდესი). დამთავრდა პიანისტთა პირველი სრულიად-საკავშირო კონკურსი, მოწყობილი ხელოვნების საქმეთა სრულიად-საკავშირო კომიტეტის მიერ. პირველი პრემია—10 ათასი მანეთი ჟიურიმ მიუსაჯა პიანისტს პ. პ. მახნოვსკის (მოსკოვი). მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე პრემიები ჟიურის გადაწყვეტილებით გაერთიანებულ იქნა ორ მეორე და ორ მესამე პრემიად. ორი მეორე პრემია—8 ათასი მანეთი თითო—მიუსაჯეს ა. ლ. კაპლანს (მოსკოვი) და ვ. ვ. ნილსენს (ლენინგრადი). ორი მესამე პრემია—6 ათასი მანეთი თითო—ა. ე. გერონიმუსს (ლენინგრადი) და ა. გ. თათულიანს (მოსკოვი), მეექვსე პრემია—3 ათასი მანეთი—მიიღო ბ. ა. სილოვსკიმ (ხარკოვი), მეშვიდე პრემია—3 ათასი მანეთი—პიანისტმა ქალმა პ. ო. გოლდფარბმა (ოდესა), მერვე, მეცხრე და მეათე პრემიები—2 ათასი მანეთი თითო—მისცეს ვ. ი. კიპას (კიევი), მ. ზ. პოლიაკს (მოსკოვი) და ლ. ბ. შურს (კიევი).

კონკურსზე საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებთა საუკეთესოდ შესრულებისათვის სპეციალური პრემიები მიიღეს ლ. დ. გრინბერგმა (მინსკი), ა. კ. კლუმოვმა (მინსკი), ნ. მ. მუსინიანმა (მოსკოვი), მ. ე. შიფმანმა (მოსკოვი). პრემიები ბეთჰოვენის ნაწარმოებთა საუკეთესოდ შესრულებისათვის მიიღეს ს. ი. ბერმანმა (მოსკოვი), ბ. ს. მარანცმა (სვერდლოვსკი), მ. ვ. მილმანმა (მოსკოვი) და მ. ე. შიფმანმა (მოსკოვი).

კონკურსის მონაწილეთა საერთო მაღალი დონის გამო, ჟიურიმ დაადგინა გასცეს 15 საპატიო დიპლომი.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ცენტრალურ ჩინეთში

ხანკოუ, 7 იანვარი (საკდესი). ხანკოუსა და ფუიანის მიდამოებში ადგილი აქვს პატარ-პატარა შეტაკებებს ჩინელთა და იაპონელთა ჯარებს შორის.

6 იანვარს ჩინელების ხუთი თვითმფრინავი ყუმბარებს უშენდა იაპონელთა სამხედრო საწყობებს ძიასინში.

ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთ უბნის სექტორში ჩინელთა ჯარებმა განდევნეს იაპონელები მინგუანიდან (60 კილომეტრის მანძილზე ჩუჯოუდან ჩრდილო-დასავლეთით). ჩინელთა ჯარებმა წინ წაიწიეს ამ უბნის მარჯვენა ფლანგზე და, სადაც მათ დაიკავეს [illegible].

ჩრდილო ჩინეთში

ხანკოუ, 7 იანვარი (საკდესი). ხების პროვინციის სამხრეთ ნაწილში ჩინელთა პარტიზანებმა დაიკავეს ფეისიანი (დამინის ჩრდილო-დასავლეთით). ისინი შეუპოვრად მიიწევენ წინ ხანდანისაკენ, რომელიც ბეიპინ-ხანკოუს რკინიგზაზე მდებარეობს.

გუშინ იაპონელთა თვითმფრინავები თავს დაესხნენ ლინგუანის სადგურს (ტიანძინ-პუკოუს რკინიგზაზე, ზენპუს სამხრეთით). თავდასხმის დროს მოკლულია 20 მშვიდობიანი მცხოვრები და დანგრეულია ასანთის ფაბრიკა.

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს კორესპონდენტი ცინდაოდან იტყობინება, რომ 6 იანვარს იაპონელთა თვითმფრინავები ყუმბარებს უშენდნენ ძიაოჯოუს (ცინდაოდან 40 კილომეტრის მანძილზე ჩრდილო-დასავლეთით).

დაძაბული მდგომარეობა შანხაიში

შანხაი, 8 იანვარი (საკდესი). დღეს ნანდაოს რაიონის და საფრანგეთის კონცესიის საზღვარზე იაპონელმა ჯარისკაცებმა სცემეს კონცესიის პოლიციელს იმისათვის, რომ იგი გამოესარჩლა ჩინელ ქალს, რომელსაც იაპონელი სცემდა. შემთხვევის ადგილზე მივიდა საფრანგეთის პოლიციის რაზმი, რომელთანაც იაპონელებმა მოლაპარაკება გამართეს. დამსწრეთა სიტყვით, მოლაპარაკების დროს ნანდაოს მხრიდან საფრანგეთის კონცესიისაკენ დამიზნებული იყო იაპონიის ორი ტყვიამფრქვევი.

დღეს საფრანგეთის კონსულმა ინახულა იაპონიის კონსული შანხაიში მოსალაპარაკებლად ინციდენტის გამო.

ლონდონი, 8 იანვარი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს შანხაელი კორესპონდენტი იუწყება, რომ დღეს მოხდა ახალი ინციდენტი, რის შედეგად მდგომარეობა შანხაიში კიდევ უფრო გამწვავდა.

იაპონელმა მეზღვაურებმა დაიკავეს ინგლისელების კუთვნილი სასტუმრო „ახალი აზია" საერთაშორისო სეტლმენტში და ჩამოგლიჯეს ორი ინგლისური დროშა, რაც შენობაზე იყო გამოკიდებული.

რესპუბლიკელთა მიერ ტერუელის დაპყრობის შესახებ

ლონდონი, 7 იანვარი (საკდესი). გაზეთ „ნიუს ქრონიკლის" დიპლომატიური მიმომხილველის ბარტლეტის სიტყვით, რესპუბლიკელთა ჯარების მიერ ტერუელის დაპყრობა მხოლოდ ერთი უაღრესად სერიოზული ლახვართაგანია, რასაც რესპუბლიკელთა ჯარები კიდევ ჩასცემენ მეამბოხეებს. ფრანკო, — განაგრძობს მიმომხილველი, — უკვე ემზადებოდა დაეწყო დიდი შეტევა რესპუბლიკელთა ჯარების წინააღმდეგ და ამ მიზნით მან მოახდინა რეორგანიზაცია თავისი არმიის რიგებში. 5 საარმიო კორპუსის სარდლებად დანიშნული იყვნენ გენერლები ვარელა, არანდა, იაგუე, მოსკარდო და სოლჩაგა. როცა გამოირკვა, რომ რესპუბლიკელთა ჯარების შეტევა ტერუელზე წარმატებით ვითარდება, გენერალი არანდა თავისი კორპუსით გაიგზავნა კონტრშეტევის ჩასატარებლად. ტერუელთან გაჩაღებულ ბრძოლაში ამჟამად უკვე ჩაბმული არიან არმიის სხვა კორპუსებიც.

კონტრშეტევის შედეგად მეამბოხეებმა მრავალი ხალხი მოუკლეს და დაუჭრეს. დაკარგულია აგრეთვე უამრავი სამხედრო მასალა, რაც დიდი შეტევისათვის იყო განკუთვნილი. თუმცა, დასძენს დასასრულ მიმომხილველი, გერმანია და იტალია ესპანელ მეამბოხეებს კვლავ უგზავნიან მრავალ თვითმფრინავს, არტილერიას და სხვა სამხედრო მასალას, მაინც გერმანიისა და იტალიის გენერალური შტაბები ძალიან არიან შეშფოთებული მეამბოხეთა დიდი დანაკლისით.

საფრანგეთის კომუნისტური დელეგაციის მოთხოვნა

პარიზი, 8 იანვარი (საკდესი). გუშინ სენის დეპარტამენტის კომუნისტური ორგანიზაციის დელეგაციამ, რომელსაც მეთაურობს საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჟიტონი, ინახულა შრომის მინისტრი და წაუყენა მოთხოვნა, რათა გადიდებულ იქნას უმუშევრობის დახმარება, აგრეთვე შეიცვალოს ამ დახმარების დანიშვნის წესები სენის დეპარტამენტში. ამ წესების მიხედვით, უმუშევრობის დახმარება შეიძლება დაენიშნოთ მხოლოდ იმ მუშებს, რომელნიც სენის დეპარტამენტში ორნახევარ წელს მაინც ცხოვრობენ. დელეგაციამ წამოაყენა წინადადება შეიცვალოს ეს ვადა, რათა იმ პირებს, რომელნიც დეპარტამენტში ექვს თვეს ცხოვრობენ, უკვე ჰქონდეთ უფლება მიიღონ დახმარება.

საბჭოთა კავშირში

ემზადებიან სახელოვანი წლისთავისათვის

სვერდლოვსკი, 8 იანვარი (საკდესი). ურალის სამხედრო ოლქის მეომართა და მეთაურთა შორის ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების საუკეთესო მაჩვენებლებისათვის. ყველა ქვედანაყოფში იმართება საუბრები წითელი არმიის საბრძოლო გზის შესახებ. კლუბებში გაჩაღებულია შემოქმედებითი მუშაობა, წითელარმიელები და მეთაურები სწავლობენ სიმღერებს, ამზადებენ დადგმებს და მუსიკალურ ნომრებს, აფორმებენ იუბილისადმი მიძღვნილ გამოფენებს.

ჯარის ნაწილთა თოვლიან პლაცებზე და ყინულოვან სასრიალო ველებზე იწვრთნებიან მეციგურენი, მეთხილამურენი, ჰოკეისტები, ცხენოსნები, რათა 23 თებერვლის საგარნიზონო შეჯიბრებაზე სვერდლოვსკში გვიჩვენონ სასპორტო ოსტატობის მაღალი კლასი.

მუშურ - გლეხური წითელი არმიის სახელოვანი წლისთავის დღეს „დინამოს" სტადიონზე იწყობა საჩვენებელი სასწავლო ბრძოლა. სადღეობო გაიმართება დიდი კარნავალი.

წითელი არმიის სვერდლოვსკის სახლში შექმნილია წითელარმიული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი 40 კაცის შემადგენლობით. აფორმებენ დიდ დადგმას თემაზე: „მუშურ-გლეხური წითელი არმიის საბრძოლო გზა 20 წლის განმავლობაში".

15 თებერვლიდან წითელი არმიის სახლთან იწყება თავდაცვითი ფილმების კინოფესტივალი.

„ჩრდილოეთის პოლუსის" სადგურზე

8 იანვარს 13 საათზე პოლარული სადგური „ჩრდილოეთის პოლუსი" იმყოფებოდა განედის 78 გრადუსსა და 54 წუთზე, დასავლეთის გრძედის 9 გრადუსსა და 6 წუთზე. მოდრეიფე ყინულის ადგილმდებარეობის რაიონში ძირა ქარბუქი იყო. ტერმომეტრი უჩვენებდა მინუს 39 გრადუსს. ჰქროდა ჩრდილო-დასავლეთის ქარი 5 ბალის ძალით.

ქრონიკა

სსრ კავშირის ცაკმა ს. ბ. ჟუკოვსკი დაამტკიცა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ.

სსრ კავშირის ცაკმა ამხ. პ. ი. პარშინი დაამტკიცა მანქანათმშენებლობის სახალხო კომისრის მოადგილედ. (საკდესი).

„მურმანეცი" მიდის გრენლანდიის ზღვაში

მურმანსკი, 8 იანვარი (საკდესი). გუშინ ტარდებოდა ყველა მექანიზმის გამოცდა „მურმანეცზე", რომელიც უნდა გაემგზავროს გრენლანდიის ზღვაში ყინულის ნაპირის მოძრაობის სამეთვალყურეოდ მოდრეიფე ყინულის რაიონში. გამოცდებმა კარგი შედეგი მოგვცეს. გემი იტვირთება საწვავით, სურსათითა და საჭირო მასალებით. ამას მოუნდება ორი-სამი დღე. მოვა თუ არა განკარგულება, გემს მაშინვე შეუძლია გავიდეს ზღვაში.

„მურმანეცის" კაპიტანმა ამხ. ულიანოვმა საკდესის კორესპონდენტს მომავალი რეისის შესახებ შემდეგი უთხრა:

— ჩრდილოეთის ზღვებში მე თითქმის 50 წელია ვცურავ, მათ შორის 38 წელი, როგორც კაპიტანი. უკანასკნელ წლებში არაერთგზის დავდიოდი სამეცნიერო ექსპედიციებში. ის რაიონი, საითკენაც ყინული მიდის, ჩვენთვის ნაცნობი და შესწავლილია. შარშან ზამთარში მე ვიყავი გრენლანდიის ზღვაში, სადაც ვახდენდი წყლის სიღრმის, ტემპერატურისა და მარილიანობის შესწავლას. ჩვენ მივდიოდით შპიცბერგენიდან ჩრდილოეთის განედის 80 გრადუსამდე და გავყევით პარალელს დასავლეთით გრძედის 10 გრადუსამდე.

გზას მურმანსკიდან ხელსაყრელი ამინდის დროს დასჭირდება 8 დღე. „მურმანეცის" რადიოაპარატურა მურმანსკიდან გასვლის შემდეგ საშუალებას მოგვცემს კავშირი დავიჭიროთ კრენკელთან, ხოლო როდესაც გრენლანდიის ზღვაში შევალთ, შეგვეძლება რადიოტელეფონით ვაწარმოოთ ლაპარაკი.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამუშაოთა გეგმა 1938 წლისათვის

ლენინგრადი, 8 იანვარი (საკდესი). სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტში განხილულ იქნა სამუშაოთა გეგმა 1938 წლისათვის.

წელს მომზადებული იქნება დასაბეჭდად „რუსული ლიტერატურის ისტორიის" ოთხი ტომი და „დასავლეთის ლიტერატურათა ისტორიის" სამი ტომი. წელს ინსტიტუტი განაგრძობს მუშაობას რუს კლასიკოსთა თხზულებებისა და წერილების სრული კრებულების მეცნიერული გამოცემისათვის. ამ მუშაობის საფუძველს წარმოადგენს მწერალთა მთელი ლიტერატურული მემკვიდრეობის სისტემატური შესწავლა. დასაბეჭდად მომზადდება და გამოიცემა ა. ნ. რადიშჩევის, ა. ს. პუშკინის, მ. ი. ლერმონტოვის, ნ. ვ. გოგოლის, ა. ს. გრიბოედოვის, გ. ი. უსპენსკის, ა. ნ. ოსტროვსკის და სხვათა თხზულებების სრული კრებულის მორიგი ტომები. გარდა ამისა გამოვა ისტორიულ-ლიტერატურული კრებულები, მონოგრაფიები და მთელი რიგი ბიბლიოგრაფიული ნაშრომები.

მოკლე ცნობები

— ქალაქ ხანჯოუში (პროვინცია ჯეძიანის დედაქალაქი) ხანმოკლე ყოფნის დროს იაპონელები გაუგონარ მხეცობას სჩადიოდნენ, იაპონელი მილიტარისტები, შეიჭრნენ რა ხანჯოუში, სისხლის ღვრით გაუსწორდნენ ქალაქში დარჩენილ მშვიდობიან უპატრონო ჩინელ მოსახლეობას.

— იაპონელთა ცდა შეექმნათ ჩინელი ვაჭრებისაგან ეგრეთწოდებული „შანხაის მოქალაქეთა ფედერაცია", რომელიც იქნებოდა იაპონიის აგენტურა, ჩაიშალა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მოსალოდნელი კანდიდატი იუნ ჩუნცინი „უეცრად" ჰონკონგს გაემგზავრა.

— გაზეთი „ვი უვრიერის" რედაქციის ბინა (პროფკავშირთა ორგანო) გაძარცვეს. მძარცველებმა წაიღეს რამდენიმე ათასი ფრანკი რესპუბლიკური ესპანეთის სასარგებლოდ მიღებულ შემოწირულებათა ფონდიდან.

— ამ დღეებში ბუქარესტში გაიხსნა გერმანული ფირმის „კრუპ ვერკეს" ფილიალი. ფირმა ვარაუდობს, რომ გოგას მთავრობა რუმინეთის ყველა სამხედრო შეკვეთას გადასცემს გერმანულ ფირმას. დღემდე რუმინეთი სამხედრო შეკვეთებს უპირატესად ჩეხოსლოვაკიაში და საფრანგეთში ათავსებდა.

— ლტოლვილთათვის მიჩენილი ზონა ნანდაოში ოკუპირებულია იაპონელი ჯარების მიერ. 10 ათასამდე ლტოლვილი, უმთავრესად ახალგაზრდობა, იაპონელთა მიერ მობილიზებულია იძულებითს სამუშაოზე. ზონაში დარჩენილი ლტოლვილების წინააღმდეგ რეპრესიებს მიმართავენ.

— სიეტლში გემთმფლობელებმა ლოკაუტი გამოუცხადეს 1.400 მტვირთავს, რის შედეგადაც იქ შესწყდა ყოველგვარი დატვირთვა-განტვირთვის სამუშაო. გემთმფლობელთა ლოკაუტი დაკავშირებულია იმასთან, რომ მუშებმა პროტესტი განაცხადეს შრომის პირობათა გაუარესების წინააღმდეგ.

ესპანეთის ფრონტებზე.
სურათზე: რესპუბლიკელთა ჯარების მიერ დაკავებული ქალაქი ტერუელი. ფოტო „სოიუზფოტოსი".

მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიებში სამხედრო მოსამსახურეთა მიღების პირობები

მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთა სამმართველო აცხადებს 1938 წლისათვის პირველი კურსის კანდიდატთა მიღებას:

ა) მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო აკადემიაში:

ძერჟინსკის სახელობის საარტილერიო აკადემიაში... ლენინგრადი, კომკავშირის ქუჩა, 22.

პროფ. ჟუკოვსკის სახელობის საჰაერო აკადემიაში... მოსკოვი, ლენინგრადის გზატკეცილი, 54.

კუიბიშევის სახელობის საინჟინერო აკადემიაში... მოსკოვი, პოკროვსკის ბულვარი, 5.

კიროვის სახელობის სამედიცინო აკადემიაში... ლენინგრადი, ნიჟეგოროდის ქუჩა, 6.

სტალინის სახელობის მექანიზაციისა და მოტორიზაციის აკადემიაში... მოსკოვი, ლეფორტოვო წითელკურსანტთა შესახვევი, სახლი № 3/5.

კაგანოვიჩის სახელობის სატრანსპორტო აკადემიაში... მოსკოვი, ლოდი სადოვაია 14.

ვოროშილოვის სახელობის მუშურ-გლეხური წითელი არმიის დაცვის ქიმიურ აკადემიაში... მოსკოვი, ბაუმანის მე-2 ქუჩა, 10.

სამეურნეო აკადემიაში... ხარკოვი, ძერჟინსკის მოედანი, 6.

ბუდიონის სახელობის ელექტროტექნიკურ აკადემიაში... ლენინგრადი, ბენუას პროსპექტი, 1.

სავეტერინარო ინსტიტუტში... მოსკოვი, სმოლენსკის ბულვარი, 19.

ბ) სამხედრო ფაკულტეტებზე:

პოდბელსკის სახელობის კავშირგაბმულობის საინჟინერო-ტექნიკურ აკადემიაში... მოსკოვი, ენტუზიასტების გზატკეცილი, 109 ა.

სამართლის სრულიად-საკავშირო აკადემიის იურიდიულ ფაკულტეტზე... მოსკოვი, ნოვინის ბულვარი, პროდოლნი შესახვევი, სახლი 9.

სამეთაურო ფაკულტეტებზე სწავლის ვადაა 3 წელი, დანარჩენ ფაკულტეტებზე — 5 წელი (მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს, გამოშვება იქნება 1 ნოემბერს).

შესვლის უფლებით სარგებლობენ მუშურ-გლეხური წითელი არმიის მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის პირნი 35 წლამდე, რომელთაც აქვთ დადებითი პოლიტიკური დახასიათება და სამსახურის ატესტაცია, მწყობრში სამსახურის სტაჟი არა უმცირეს 3 წლისა, სამეთაურო ფაკულტეტებზე მისაღებად და მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობის თანამდებობაზე მუშაობის სტაჟი არა უმცირეს ერთი წლისა — სხვა ფაკულტეტებზე მისაღებად, მისაღები პირნი, ჯანმრთელობით ვარგისი უნდა იყვნენ ნორმალური სასწავლო მუშაობისათვის, აგრეთვე მომავალი სამხედრო სამსახურისათვის სპეციალობას მიხედვით; მათ დამაკმაყოფილებლად უნდა ჩააბარონ წინასწარი წერითი გამოცდები რუსულ ენასა და მათემატიკაში სამხედრო ოლქის შტაბთან (ა. წ. მარტში); წარმატებით უნდა ჩააბარონ მისაღები საკონკურსო გამოცდები აკადემიებთან (ა. წ. აგვისტოში) სსრ კავშირის ისტორიაში, სსრ კავშირის კონსტიტუციაში, რუსულ ენაში (თხზულება, გრამატიკა, ლიტერატურა), მათემატიკაში, ფიზიკაში, ქიმიაში, გეოგრაფიაში, უცხო ენაში, ხოლო სამეთაურო ფაკულტეტების კანდიდატებმა დამატებით უნდა ჩააბაროს გამოცდა სამხედრო საგნებში, თანახმად „მისაღებ გამოცდათა პროგრამების კრებულისა" (გამოიცემა სახელმწიფო სამხედრო გამომცემლობის მიერ ა. წ. იანვარში).

უმცროს მეთაურთა და უფროსთა შემადგენლობა და რიგითი შემადგენლობა, რომელსაც აქვს მიღებული სრული საშუალო განათლება, უმსახურნია მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში არანაკლებ ერთი წლისა, იმავე პირობებით დაიშვება მისაღებად ყველა ფაკულტეტზე, გარდა სამეთაურო ფაკულტეტისა.

თვითეულ ფაკულტეტზე პირველ რიგში და უპირატესად მიიღებიან კანდიდატები, რომელნიც იცნობენ ამათუიმ ფაკულტეტის სპეციალობას.

კანდიდატს, არა უგვიანეს ა.-წ. 1 მარტისა, შეაქვს პატაკი უშუალო უფროსის სახელზე, რათა ნება დართონ მას შევიდეს არჩეულ აკადემიაში, და აღნიშნავს:

თანამდებობას, სამხედრო სახელწოდებას, მოკლე ცნობებს მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში სამსახურის შესახებ, ასაკს, ზოგადსა და სამხედრო განათლებას და მისამართს (პატაკის ასლს უგზავნის აკადემიის უფროსს).

პატაკს დართული უნდა ჰქონდეს დაწვრილებითი ავტობიოგრაფია და პარტიული ან კომკავშირული ორგანიზაციის მიერ გაცემული დახასიათება.

ოლქის სამხედრო საბჭო წარმოადგენს აუცილებელ და უკანასკნელ ინსტანციას იმ საკითხის გადაწყვეტაში, დაშვებულ იქნას თუ არა წინასწარ წერით გამოცდებზე თვითეული კანდიდატი, რომელმაც შეიტანა პატაკი აკადემიაში მიღების შესახებ.

დაშვება საკონკურსო მისაღებ გამოცდებზე აკადემიებთან ხდება მუშურ-გლეხური წითელი არმიის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთა სამმართველოს მიერ. ამ გამოცდებისათვის მოსამზადებლად კანდიდატებს ეძლევათ 45 დღის შვებულება.

მუშურ - გლეხური წითელი არმიის უმაღლეს სამხედრო სასწავლებელთა სამმართველო.

ჩვენ გვწერენ

დაიწყეს, მაგრამ...

5 წლის წინათ საჩინოს სასოფლო საბჭომ დაიწყო კლუბის მშენებლობა, მაგრამ უთავბოლო მუშაობის შედეგად იგი დღესაც არ არის დამთავრებული, რაზედაც ადგილობრივი მშრომელები სამართლიან უკმაყოფილებას გამოსთქვამენ.

კლუბის მშენებლობის ასეთი გაჭიანურება გამოწვეულია იმით, რომ საშენი მასალის ნაწილი სხვა საქმეს მოახმარეს, ხოლო დანარჩენი უყურადღებობის გამო დაიკარგა.

კლუბის მშენებლობა უნდა დამთავრდეს,—ასეთია კოლმეურნეთა სამართლიანი მოთხოვნა.

შ. ფიფია

„კომუნისტის" სიგნალის შემდეგ

„ნემსაძე დაუსჯელად დადის"

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის გასული წლის 3 სექტემბრის ნომერში მოთავსებული იყო წერილი, რომელიც ეხებოდა სამტრედიის რაიაღრიცხვის ინსპექტორს აკ. ნემსაძეს. წერილში აღნიშნული იყო, თითქოს ნემსაძე ითვისებდა თავისი თანამშრომლების კუთვნილ ხელფასს.

აკ. ნემსაძის საქმე გასული წლის 26 ოქტომბერს განიხილა სამტრედიის რაიონის სახალხო სასამართლომ. მის მიმართ წაყენებული ბრალდება თანამშრომლების ხელფასის მითვისების შესახებ, არ დადასტურდა.



ქ. გორი. — ახალი ხიდი მდ. ლიახვზე.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

შ. რუსთაველის იუბილე

მშრომელები ეცნობიან „ვეფხის-ტყაოსანს"

თბილისის ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი უდიდესი ენტუზიაზმით შეუდგნენ რუსთაველის უკვდავი პოემის „ვეფხის-ტყაოსნის", კულტურის ამ უდიდესი ძეგლის, შესწავლას. მაუდის ფაბრიკის ათასზე მეტი მუშა-მოსამსახურე სწავლობს მას. ცალკე საამქროების მიხედვით კითხულობს 32 აგიტატორი რუსთაველისადმი მიძღვნილ საბჭოთა მწერლების კავშირის პლენუმის მასალებს.

ფაბრიკის პარტიულ და პროფკავშირულ ორგანიზაციას გათვალისწინებული აქვს უახლოეს დღეებში მოისმინოს მწერალთა კავშირის წარმომადგენლის მოხსენება თემაზე: „შოთა რუსთაველი და მისი ეპოქა". აგრეთვე განზრახულია შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი გამოფენის დათვალიერება.

ასევე გულდასმით კითხულობენ და ეცნობიან გენიალურ პოემას აბრეშუმის ფაბრიკის, ავტო-სარემონტო ქარხნის, ორჯონიკიძის და კალინინის სახელობის ქარხნების მუშა-მოსამსახურეები და სტახანოველები.

ქართველი მწერლები შოთა რუსთაველს

შოთა რუსთაველის გენიალური ქმნილების „ვეფხის-ტყაოსნის" დაწერიდან 750 წლისთავის აღსანიშნავად გამომცემლობა „ფედერაციამ" გამოსცა შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი კრებული.

კრებულში მოთავსებულია ქართველ მწერალთა ლექსები და შეხედულებანი რუსთაველსა და მის პოემაზე.

კრებულში დაბეჭდილია მე-14—18 საუკუნეების მწერალთა—სარგის თმოგველის, იოსებ თბილელის, ანონიმის, ნანუჩას, სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილი - ქიდილკურის, ქაიხოსროს, თეიმურაზ პირველის, ნოდარ ციციშვილის, სულხან თანიაშვილის, ფეშანგის, არჩილის, იესე ტლაშაძის, ვახტანგ VI-ის, მამუკა ბარათაშვილის, თეიმურაზ მეორის, ანტონ I-ლის, დავით გურამიშვილის ნაწარმოებები.

19 და 20 საუკუნის პოეტებიდან: გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, აკ. წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ილია ჭავჭავაძე, ევ. ნინოშვილი.

საბჭოთა პოეტებიდან და მწერლებიდან: ა. აბაშელი, ი. აბაშიძე, შ. აფხაიძე, კ. ბობოხიძე, ვ. გაბესკირია, ვ. გაფრინდაშვილი, რ. გვეტაძე, ალ. გომიაშვილი, ვ. გორგაძე, ი. გრიშაშვილი, ს. ეული, ხ. ვარდოშვილი, ს. თავაძე, გ. კაჭახიძე, გ. ლეონიძე, ი. ლისაშვილი, ი. მოსაშვილი, ვ. ჟურული, კ. ნადირაძე, მ. პატარიძე, პ. სამსონიძე, გ. ტაბიძე, ალ. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი, ს. ჩიქოვანი, აკ. ბელიაშვილი, შ. დადიანი, ს. კლდიაშვილი, აკ. გაწერელია, პ. ინგოროყვა და გ. ქიქოძე.

კრებული გამოცემულია ამხ. კ. ჩარკვიანის, პ. ინგოროყვას და ს. ჩიქოვანის რედაქციით. მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ლადო გუდიაშვილს.

კრებული დაბეჭდილია კარგ ქაღალდზე და ღირს 22 მანეთი.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში თბილისის მოწაფეებმა მიიღეს საუკეთესო სასკოლო შენობები.
სურათზე: მე-50 სკოლის შესავალი, ქანდაკებებით გაფორმებული.
ფოტო ბუდეშტკისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

კავკასიის ისტორია

მოსკოვი, 8 იანვარი. (საქ. კორ.). საბჭოთა კავშირის უზენაესი საბჭოს სესიის გახსნისათვის საბჭოთა კავშირის ხალხთა მუზეუმი გამდიდრდება ახალი ვრცელი განყოფილებით, რომელიც გააშუქებს კავკასიის ისტორიას, მე-18 საუკუნიდან მოყოლებული.

მთელი რიგი სურათებით და დოკუმენტებით ნაჩვენები იქნება სახალხო მოძრაობა ფეოდალური ექსპლოატაციის წინააღმდეგ, კერძოდ ქართველი გლეხების აჯანყება 1711 წელს.

მუზეუმი შევსებულია მხატვარ ჭუთათელაძის სურათებით: „თბილისის აოხრება აღა-მაჰმად-ხანის მიერ", „გადასახლებულ მთიელთა გაჭირვება შავი ზღვის ოსმალეთის სანაპიროზე 1864 წელს".

მუზეუმში გამოფენილი იქნება დიაგრამა, რომელიც გვიჩვენებს ოსმალთა თავდასხმას დასავლეთ საქართველოზე. ცალკე დარბაზი აქვს დათმობილი იმ კოლონიური რეჟიმის ჩვენებას, რომელიც შემოიღო მეფის მთავრობამ კავკასიაში. აქ თავმოყრილია ახალი ისტორიული მასალები გლეხთა საკითხის რეფორმაზე, ნაჩვენებია სვანი გლეხის დარბაზი მთელი მისი მოწყობილობით.

ცალკე დარბაზში, რომელიც გამოხატავს მრეწველობისა და რევოლუციური მოძრაობის განვითარებას კავკასიაში, ყურადღებას იპყრობს ძველი თბილისის დიაგრამა და ჩუსტების სახელოსნოს მაკეტი ნატურალური ზომისა.

მუზეუმი შევსებულია მრავალი ძვირფასი მასალით, რომლებიც გვისურათებენ ამხანაგ სტალინის რევოლუციურ მოღვაწეობას ბათუმსა, თბილისსა და ბაქოში. ეს მასალები გვიჩვენებენ ამხანაგ სტალინის შეურიგებელ ბრძოლას მენშევიკების წინააღმდეგ და მის ხელმძღვანელ როლს ამიერკავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიაში.

მუზეუმში ნაჩვენებია აგრეთვე ამხანაგ სტალინის თანამებრძოლთა ს. წულუკიძის, ლ. კეცხოველისა და ს. ორჯონიკიძის მგზნებარე რევოლუციური მოღვაწეობა.

მუზეუმის ამ ახალ განყოფილებაში გამოფენილია რამდენიმე ათასი ექსპონატი. გარდა დოკუმენტებისა და ფოტო-სურათებისა, გამოფენილი იქნება იარაღის, ხალიჩების, საყოფაცხოვრებო საგნების და სანადირო მოწყობილობის ნიმუშები.

ხელოვნება

„აჭარის მთებში"

დღეს, 10 იანვარს, მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში მიდის მორიგი პრემიერა—გრ. ბერძენიშვილის პიესა „აჭარის მთებში". პიესის თემაა საბჭოთა პატრიოტიზმი.

სპექტაკლს სდგამს რეჟისორი ბ. გამრეკელი, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის დ. თავაძეს, მუსიკა—ვ. შავერზაშვილს.

მთავარ როლებს ასრულებენ მსახიობები ა. კაჭკაჭიშვილი, გ. კუპრაშვილი, თ. თვალიაშვილი, გ. აბაშიძე.

პრემიერისათვის თეატრის ფოიეში მოეწყო თბილისის სკოლების მოსწავლეთა მიერ შოთა რუსთაველის „ვეფხის-ტყაოსნის" თემაზე შესრულებული სურათების გამოფენა.

⊕

11 იანვარს მარჯანიშვილის სახელობის თეატრში მიდის ბომარშეს კლასიკური კომედია „ფიგაროს ქორწინება" შემსრულებელთა ახალი შემადგენლობით.

ფიგაროს როლს ასრულებს მსახიობი გ. კოტავა, სუზონისას—ელ. სიბილია.

ესტრადის საბავშვო თეატრი

6 იანვარს საქ. ფილარმონიისა და ესტრადის სახელმწიფო გაერთიანებამ თავის შენობაში (პლეხანოვის პროსპ., № 123) გახსნა ახალი სახის სანახაობა ბავშვებისათვის—საესტრადო თეატრი.

ვრცელ შენობაში, რომელიც 360-მდე კაცს იტევს, ბავშვებისათვის მოეწყო საახალწლო ნაძვის ხე და გაიმართა საესტრადო კონცერტი, რომელზედაც გამოვიდნენ რესპ. დამსახურებული არტისტი ვ. ურუშაძე, მეჰონგურეთა ანსამბლი, 12 წლის ჯამბაზი ბონდარენკო და სხვ.

კონცერტები გაიმართება ყოველ გამოსასვლელ დღეს. კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ სცენის საუკეთესო ოსტატები: ა. ვასაძე, ა. ხორავა, თ. ჭავჭავაძე, ვ. ანჯაფარიძე და სხვ.

ბაქოს მოსწავლეები თბილისში

არდადეგებთან დაკავშირებით 7 იანვარს თბილისში ჩამოვიდა ბაქოს მოსწავლეთა ჯგუფი 18 კაცის შემადგენლობით; მათ შორის არიან ფრენბურთელები და კალათბურთელები. ჩამოსვლის მიზანია სწავლის დაყენების გაცნობა თბილისის სკოლებში და სასპორტო გამოცდილების ურთიერთ გაზიარება.

ბაქოელებმა თბილისში ჩაატარეს მთელი რიგი სასპორტო შეხვედრები. ვაჟ კალათბურთელებს შეჯიბრება ჰქონდათ ქუთაისის გუნდთან, რომელიც საქართველოს ერთერთ უძლიერეს კოლექტივად ითვლება მოსწავლეთა შორის. შეხვედრა მოიგეს ბაქოელებმა. ფრენბურთელი გოგონების შეჯიბრება ბაქოელების დამარცხებით დამთავრდა.

დიდი ინტერესით ჩაიარა ბაქოს და თბილისის ფრენბურთელ ვაჟთა თამაშმა. გამარჯვება თბილისელებს დარჩათ.

თბილისში ყოფნისას ბაქოს მოსწავლეები დაესწრნენ „ანა კარენინას" სპექტაკლს გრიბოედოვის სახელობის თეატრში და ნახეს კინოსურათი „სამშობლოს ძახილი".

წითელი მარმარილო

სოფელ შრომაში (ცხემლისხიდის რაიონი) ამ რამდენიმე ხნის წინათ აღმოაჩინეს წითელი მარმარილოს საბადოები. მარმარილო ძვირფასი ღირსებისაა და მასზე დიდძალი შეკვეთები მოდის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქიდან. წითელი მარმარილო ფართოდაა გამოყენებული მოსკოვის „მეტროს" მშენებლობაზეც.

ადგილობრივი მრეწველობის განყოფილებამ სხვა დაკვეთებთან ერთად, მოსკოვის „მეტროს" მეორე რიგის მშენებლობისათვის უნდა დაამზადოს 700 კუბ. მეტრი მარმარილო.

კუბ. მეტრი მარმარილო ჯდება 600 მანეთი.

ვ. გაჩეჩილაძე

თამბაქოს დამზადება

გეგმით 1938 წლის 1 იანვრისათვის საქართველოში უნდა დამზადებულიყო 6.780 ტონა 1937 წლის მოსავლის თამბაქო. თამბაქოს დამზადების კვარტალური გეგმა შესრულებულია მნიშვნელოვანი გადაჭარბებით. სულ რესპუბლიკაში დამზადებულია 7.749 ტონა თამბაქო, რაც შეადგენს გეგმის 114,3 პროცენტს.

ჩინებულად მიმდინარეობს თამბაქოს დამზადება მაღალხარისხოვანი მეთამბაქოობის ძირითად რაიონში—აფხაზეთში, სადაც კვარტალური გეგმა შესრულებულია 126 პროცენტით. აჭარაში გეგმა შესრულებულია 125,8 პროცენტით.

აღმოსავლეთ საქართველოს მეთამბაქოობის ძირითად რაიონში — ლაგოდეხის რაიონში გეგმა შესრულებულია 100.4 პროცენტით.

მეტად ჩამორჩება თამბაქოს დამზადებაში სიღნაღის რაიონი (კვარტალური გეგმის 85,4 პროცენტი).

საქართველოში დამზადებული თამბაქო მაღალი ხარისხისაა.

თამბაქოს დამზადება გრძელდება (საქდესი).

ახალი ამბები

—11 იანვარს, სალ. 8 საათზე, სახელმწიფო უნივერსიტეტში (აუდ. № 107) გაიმართება ქართული ენის კათედრის საჯარო სხდომა, რომელზედაც მოხსენებით გამოვლენ პროფ. აკ. შანიძე და დოც. ილ. აბულაძე თემაზე: „კავკასიის ალბანთა ახლად აღმოჩენილი ანბანი და მისი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის".

შესვლა თავისუფალია.

ქალაქის კომენდანტისაგან

11 იანვარს დილის 8 საათზე მლაშე ტბების რაიონში იწარმოებს საარტილერიო სროლა. (საქდესი).

პარტკალენდარი

10 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. ლენინის რაიკომის პარტკაბინეტში აგიტატორებისათვის ქართულ და რუსულ ენებზე შესდგება კონსულტაცია თემაზე: „მუშათა კლასის დიქტატურა და სოციალიზმის აშენება საბჭოთა კავშირში".

⊕

10 იანვარს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. ორგ. კიროვის რაიკომის სხდომათა დარბაზში პროპაგანდისტებისათვის ქართულ ენაზე შესდგება მოხსენება თემაზე: „რანი არიან ხალხის მეგობრები და როგორ იბრძვიან ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ".

მომხსენებელია ამხ. ლარცულიანი.

სარედაქციო კოლეგია

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

10/I	მუდმ. ადგ. ტალ. № 71 ერთდრ. ბილეთის სერია № 4 **ვრუბადური**
11/I	მუდმ. ადგ. ტალონი № 72 **კარმენ**
12/I	ერთდრ. ტალ. № 3 დღისით **ევგენი ონეგინი** დასაწყ. 1½ საათზე.

დასაწყისი საღ. 8 საათზე.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი

10/I	წარმოდგენა 69 **ნაპერწკლიდან**
11/I	წარმოდგენა 70 **გმირთა თაობა**
12/I	წარმოდგენა 71 **გმირთა თაობა**

დასაწყისი საღ. 8 საათზე.
10 იანვრიდან დარიგდება მუდმივი ადგილების ბილეთები, ვისაც მე-3-ე გადასახადი არ ექნება გადახდილი, ბილეთები არ მიეცემა. ბილეთების გაცემა სწარმოებს თეატრის ბუღალტერიაში დილის 11 საათიდან 4 საათამდე.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი

10/I წარმ. № 74	**იუკა რიჟინაშვილი**
11/I	დილის წარმოდგენა **ფიგაროს ქორწინება** დასაწყისი 12 საათზე.
11/I წარმ. № 75	საღამოს **ფიგაროს ქორწინება**
12/I	დილის წარმოდგენა **ნაპერწკლიდან** დასაწყ. 12 საათზე.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

ესტრადის სახელმწიფო თეატრი
პლეხანოვის პროსპექტი, № 123, ტელეფონი 3-02-29
10 იანვარს
შოთა რუსთაველის საღამო
მხატვრული კითხვის ოსტატი **სურენ ქოჩარიანი**
(ლიტერატურული კონცერტი რუსულ ენაზე) „ვეფხის-ტყაოსანი"
თარგმანი პ. პეტრენკოსი
მონაწილეობენ არტისტები: ი. ქურხული, ც. ამირაჯიბი, ილურიძე და გომელაური, კანდელაკი, მიხალსკაია, ბეგლარიანი, აგჯიანი, კარაპეტიანი, იონესიანი, ო. ჩხაიძე, შ. ვაშალომიძე.
ბილეთები სალაროში. დასაწყისი საღ. 8½ ს. 17558

დღეს სახელმწიფო კინოთეატრებში

ოქტომბერი პლეხანოვის გამზ. № 135 კომკავშირელი პლეხანოვის გამზ. № 91 რ. ლუქსემბურგის სახ. ჯორჯიაშვილის ქ. № 8 სპარტაკი რუსთაველის გამზ. № 23 დამკვრელი პლეხანოვის გამზ. № 125 26 კომ. სახელობის შაუმიანის მოედანი არსენა კომუნალური ქ. № 9 ახალი ამბები	დიდი ხმოვანი მხატვრული ფილმი **ლენინი ოქტომბერში** სცენარი — ა. კაპლერისა, რეჟისორი — მ. რომმი. I. სეანსის დასაწყისი „კომკავშირელსა" და „სპარტაკში" 6 ს., „ოქტომბერსა" და რ. ლუქსემბურგის სახ. კინოთეატრებში 6 ს. 40 წ. ახალი ხმ. ფილმი **სამშობლოს ძალიშვილი** დასაწყ. 6-30 ხმოვანი ფილმი **კარო** დასაწყ. 6-30 ხმოვანი ფილმი **სამშობლოს ძალიშვილი** დასაწყ. 6-30 ხმ. კინო-ნარკვევები **გამარჯვება სამშობლოს დღესასწაულზე** დასაწყისი 6-30

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 10 იანვარს, 1-ლი ციკლის პროგრამის უკანასკნელი 5 დღე ლილიპუტების **ჯაზი**, აგრეთვე ცირკის მთელი დასი.
12 იანვარს 2 წარმოდგენა დღისით ლილიპუტების ჯაზის მონაწილეობით. 1-ლი 12 ს., მე-2 — 2 ს. 30 წ.
ბილეთები იყიდება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავის მუშფაკთან (რიყის ქ., № 2) **ხსნის სახელმწიფო უნივერსიტეტში შემსვლელთათვის საქ. კ. პ. (ბ) წევრ-კანდიდატებისათვის**
5-თვიან გადასამზადებელ უფასო კურსებს.
მსურველთა განცხადებები მიიღება 10 იანვრიდან.
პირობების გაგება შეიძლება თბილისის სახ. უნივერს. მუშფაკში—რიყის ქ., № 2. 1001

საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო
ამით აცხადებს ყველა დაწესებულების, ფაბრიკა-ქარხნების, კლუბების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვა ორგანიზაციების საყურადღებოდ, რომ ფასიანი კონცერტებისა და საღამოების გამართვა და მხატვრული ძალებით მომსახურება საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ა. წ. 1 იანვრიდან სავსებით გადავიდა „საქფილეგთის" გამგებლობაში.
აკრძალულია კონცერტებისა და საღამოების გამართვა და სამხატვრო ძალების გამოსვლა „საქფილეგთის" ნებადაურთველად (გარდა საკუთარი თვითმოქმედი კოლექტივებისა).
ორგანიზაციები და პირები, შემჩნეულნი კონცერტებისა და საღამოების მოწყობასა და სამხატვრო ძალების გამოყვანაში „საქფილეგთის" ნებადაურთველად, მიცემული იქნებიან პასუხისგებაში.
საქ. სსრ სახკომსაბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსი **გოგუა.**
17561

ექიმი მ. ბ. შახნაზაროვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება. კანის და ვენერიული სნეულებანი. მიღება დილით 10-დან 12½ ს-მდე, საღამოს—5-დან 9 ს-მდე კრასნოგორსკის ქ. № 33
შესავალი სადარბაზო კარიდან.

შვილები: კოტე, ნინო, ელენე, რძალი ნადია, სიძე დათიკო, შვილიშვილი თამაზი იუწყებიან ძვირფასი მამის და ბაბუის
დიანოზ (ტიტიკო) აბრამის-ძე ვარდოსანიძის
გარდაცვალებას. გამოსვენება 10 იანვარს 3½ საათზე, წერეთლის ქ., № 23.

საქ. სარეწაო კავშირის სისტემის არტელ „წითელი მკერავის" დასკვნითი ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის

№ № რიგ.	აქტივი: მუხლების დასახელება	ჯამი (მან.)	№ № რიგ.	პასივი: მუხლების დასახელება	ჯამი (მან.)
1	ძირითადი საშუალებანი	73.544	1	ფონდები	22.732
2	კაპიტალური დაბანდებანი	26.685	2	მიზნობრივი რეზერვები	2.560
3	საწარმოო მარაგები	140.822	3	მრეგულირებელი მუხლები	2.059
4	ფულადი საშუალებანი	17.002	4	გრძელვადიანი კრედიტები	196.253
5	საშუალებანი ანგარიშსწორებებში	120.977	5	ანგარიშსწორებანი	176.171
6	განყენებული საშუალებანი	18.898	6	დაგროვებანი	24.560
7	დანაკარგები წარსული წლისა	26.407			
	ბალანსი	424.335		ბალანსი	424.335

1936 წლ. დაგროვება-დანაკარგების ანგარიში

1.	ზარალი რეალიზაციიდან	1.601	1. შემოსავალი რეალიზაციიდან	21.418
2.	ზარალი და ხარჯები სხვადასხვა	35.529	2. შემოსავალი სხვადასხვა	42.832
3.	ანარიცხები რეზერვების შესაქმნელად	2.561		
4.	დაგროვებანი	24.560		
	ბალანსი	64.250	ბალანსი	64.250

დამტკიცებულია სარეწაო კავშირის საბალანსო კომისიის მიერ. 9/11—1937 წლის ოქმი № 62.
გამგეობის თავმჯდომარე გ. ხუნდაძე. მთ. ბუხჰალტერი ა. მატინოვი. 1695

თბილისის საგზ. ა. მ. გ. № 1 ლუდის ქარხნის ბალანსი 1937 წლის 1 იანვრისათვის (ათას მანეთებში)

№ № რიგ.	აქტივი: ანგარიშების დასახელება	თანხა	№ № რიგ.	პასივი: ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	396,1	1	საწესდებო ფონდი	838,6
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელობისა	85,4	2	სპეცფონდები	11,8
3	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობის	124,4	3	რეზერვები	5,4
4	ნახევარ-ფაბრიკატები, დაუმთავრებელი წარმოება	251,3	4	ანგარიშსწორებანი	169,2
5	გასაყიდად გამოყოფილი საგნები	4,7	5	მოკლევადიანი კრედიტები	80
6	ფულადი საშუალებანი	77,5	6	საანგარიშო წლის დაგროვებანი	200,8
7	ანგარიშსწორებანი	142,1			
8	მომავალი პერიოდის ხარჯები	19,7			
9	განყენებული საშუალებანი	200.5			
10	შინასაბალანსო ანგარიშსწორებანი	4,1			
	ბალანსი	1305,8		ბალანსი	1305,8

1936 წ. დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1. სხვადასხვა დანაკარგები	75,4	1. დაგროვებანი საქონ. და მზანაწარმის რეალიზაციით	270,5
		2. სხვა დაგროვებანი	5,7
დაგროვების სალდო	200 8	დანაკარგების სალდო	—
ბალანსი	276,2	ბალანსი	276.2

დირექტორი გიორგობიანი. მთ. ბუხჰალტერი იმნაძე. 1733

მისამართი: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—5761, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40, მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მს. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობა ამხ. ს თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი", თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 208